საქართველოს რესპუბლიკა

გაბმული 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№7 (9839) 2025 წლის 22 იანვარი, ოთხშაბათი.

ფასი 1 ლარი



ტრამპი პირველივე დღიდან ბობოქრობს!

7

მხოლოდ ჩვენს გაზეთში — სიმონ კილაძის გვერდი

©"უცხოეთის მასმედია: მიმოხილვა, ანალიზი, კომენტარი"
პროექტის ხელმძღვანელი: სიმონ კილაძე
ელფოსტა: simonkiladze@gmail.com
ფეისბუქი: https://www.facebook.com/profile.php?id=100005791115784&locale=ka_GE

დონალდ ტრამპის მეორე ერა ამერიკისათვის „ოქროს საუკუნის“ დაპირებით იწყება

6

მამუკა მდინარაძე:

რატომ ეტენებიან ტრამპს ჩვენი ლიბერალი ფაშისტები?!

3

DEEP STATE-მა არასამთავრობო სექტორის და მათი აგენტურის სახით საქართველოში პარალელური ხელისუფლება შექმნა

ვალმოხდილი მამულიშვილი, გამოჩენილი ქართველი ავიამშენებელი

5

1882 წლის 20 იანვარს ქართული თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა დავით ერისთავის დრამა „სამშობლო“, სპექტაკლს დაესწრო ილია ჭავჭავაძეც...

12

ქართული სულის გამოღვიძება

რამაზ საყვარელიძე

რობინზონ კრუზო არ დარჩა იზოლაციაში, პარასკევა გამოჩნდა, ჩვენ რა დაგვემართება ასეთი?!

4

გულნარა სტურუა

ოჰ, როგორ „დიპლომატიურად“ მიერეკებიან საქართველოდან ევროკავშირს!..

10

საკრებულოს რჩეულნი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ წარმატებული თბილისელი სპორტსმენები დააჯილდოვა.

ეს წელი წარმატებული იქნება ჩვენი ქვეყნისთვის

საქართველოს მთავრობის 2025 წლის პირველი სხდომა.

როგორც მთავრობის სხდომაზე განვაცხადე, ჩვენ გვაქვს 4-წლიანი პროგრამა, რომლის შესრულებაც იწყება და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ პროგრამის თითოეული პუნქტი პირნათლად შესრულდეს.

ასევე, გამოვეხმაურე აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ინაუგურაციას და აღვნიშნე, რომ ეს ამერიკისთვის ერთგვარი გარდამტეხი მომენტია. დონალდ ტრამპს აქვს გაცხადებული „დიფ სთეითის“ დამარცხების ამბიციური გეგმა, რომლის წარმატებით შესრულებას საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების ნორმალიზებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

2025 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება შიდა პოლიტიკური კუთხითაც. როგორც აღვნიშნე, გადამწყვეტი დარტყმა უნდა მივაყენოთ რადიკალებს ჩვენს ქვეყანაში. რადიკალიზმი და ლიბერალური ფაშიზმი ჩვენს ქვეყანაში უნდა დასრულდეს. ეს უპირობოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ქვეყანამ განაგრძოს შეუფერხებელი განვითარება და მიაღწიოს ყველა დასახულ ეროვნულ მიზანს.

ასევე, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ ყაველაშვილს მადლობა გადავუხადე 613 პატიმრის შეწყალებისთვის. აღვნიშნე იუსტიციის მინისტრ ანრი ოხანაშვილის, შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის და სამთავრობო უწყებების წვლილიც და განვაცხადე, რომ გასულ წლებში მსგავსი თანამშრომლობის საშუალების შემთხვევაში, ასეთი ჰუმანური გადაწყვეტილების მიღება მევრად ადრე იქნებოდა შესაძლებელი.

მთავრობის სხდომაზე, დაანონსებულ მასშტაბურ პროექტებსა და მათი შეუფერხებლად განხორციელების მნიშვნელობაზეც ვისაუბრე. ძალიან მნიშვნელოვანია ინტენსიური მუშაობა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს აეროპორტის პროექტის განხორციელება და ახალი სტადიონის მშენებლობა, რათა საქართველომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძლობა შეძლოს.

გარდა ამისა, ჩემი ხელმძღვანელობით, საუნივერსიტეტო რეფორმაზე მომუშავე სამთავრობო კომისია შეიქმნება, რომელიც ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემის თვისებრივ გარდაქმნაზე იმუშავებს.

როგორც მთავრობის სხდომაზე განვაცხადე, თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ 4 წელიწადში ქართველმა სტუდენტმა საქართველოში მიიღოს ზუსტად იმ ხარისხის განათლება, რა ხარისხითაც ის იღებს განათლებას ევროპულ ქვეყნებში. ამისათვის უნდა დაისახოს კონკრეტულად გაწერილი გეგმა და ამაზე იმუშავებს სამთავრობო კომისია. არც ერთი დღე და არც ერთი კვირა არ უნდა ჩავაგდოთ. ინტენსიური მუშაობა დაგვჭირდება იმისთვის, რომ 4 წლის თავზე სრულად მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

საუბარი შეეხო გასული წლის ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც და აღვნიშნე, რომ ხელისუფლება ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვას მაქსიმალური ინტენსივობით განაგრძობს. 2024 წელი რეკორდული მაჩვენებლით დასრულდა ტურიზმის სფეროშიც და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4.4 მლრდ დოლარს გადააჭარბა.

შარშანდელი წელი იყო მთლიანობაში წარმატებული ჩვენი ქვეყნისთვის. დაახლოებით 9%-იანი ეკონომიკური ზრდით ვასრულებთ 2024 წელს. ჩვენმა ეკონომიკამ 2024 წელს გადააჭარბა 90 მლრდ ლარს, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა. მხოლოდ 28 მილიარდის ეკონომიკა დაგვიტოვა წინა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით და ჩვენ უკვე შევძელით ეკონომიკის გაზრდა 90 მილიარდ ლარამდე. მიმდინარე წელს 100-მილიარდიან მაჩვენებელს უნდა გადავაჭარბოთ, რაც თავისუფლად შესაძლებელია. ამისთვის უნდა გაგრძელდეს კონკრეტული პროექტები და უნდა განვაგრძოთ წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება. იანვარშიც გვაქვს მაღალი ეკონომიკური აქტივობა, რაც გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს 2025 წლისთვის.

ხაზი გავუსვი იმას, რომ ოპოზიციისგან განსხვავებით, რომელიც არის ყველა მოქალაქის წინააღმდეგ, საკუთარი მხარდამჭერების წინააღმდეგაც კი, ჩვენ ვართ ყველას მთავრობა და იმ სარგებლით, იმ სიკეთეებით, რომელსაც ჩვენ მივიღებთ ჩვენი პოლიტიკის შედეგად, უნდა ისარგებლოს ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ. ამ სულისკვეთებით უნდა განვაგრძოთ მუშაობა როგორც 2025 წელს, ასევე შემდეგი 4 წლის განმავლობაშიც.

20 იანვარი, 2025.

ალექსანდრე წულაძე სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსის მშენებლობას გეპირდება

ჩვენი მიზანია, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში დაიწყოს ახალი, სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსის მშენებლობა თბილისში, – განაცხადა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ.

„ამ მხრივ, ითვლება, რომ შეიქმნება, ფაქტობრივად ახალი საუნივერსიტეტო ქალაქი. მთავარი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება შინაარსობრივი გაუმჯობესება არსებული გარემოსი. ამ მხრივ, ხედვაში არის ერთ-ერთი მიმართულება, ეს იქნება პროფილურად გაძლიერება არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტების“...

საუნივერსიტეტო რეფორმაზე მუშაობა იწყება. მიზანია უმაღლესი განათლების სისტემის თვისებრივი გარდაქმნა. შეიქმნება სამთავრობო კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. მოადგილე იქნება განათლების მინისტრი, კომისიის მდივანი კი გახდება პრემიერის მრჩეველი განათლებისა და მეცნიერების საკითხებში ლევან იზორია.

ირაკლი კობახიძე დონალდ ტრამპს პრეზიდენტის თანამდებობის ხელახლა დაკავებას ულოცავს

მთავრობის მეთაური სოციალურ ქსელ იქსზე წერს, რომ დონალდ ტრამპის ლიდერობამ ხელი უნდა შეუწყოს გლობალურ მშვიდობას, გააძლიეროს ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობები.

მიხეილ ყაველაშვილი: იწყება ახალი ეტაპი ორი ქვეყნის ურთიერთობაში

ინაუგურაციას ვულოცავ ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტს დონალდ ტრამპს. დიდი იმედი მაქვს, რომ მისი ლიდერობით ჩვენ შევძლებთ საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადაყვანას.

წარმატებებს ვუსურვებ პრეზიდენტ ტრამპს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში, გაცხადებული ღირებულებების დაცვასა და გლობალურ გამოწვევებთან ბრძოლაში!

გოლოო მონაცემებით დაღუპულია 66 ადამიანი, დაშავებულია 51, ამის შესახებ თურქული მედია ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით წერს. შემთხვევა ბოლუს პროვინციაში მდებარე კურორტ კარტალკაიაში მოხდა.

თურქეთის სამთო-სათხილამურო კურორტზე სასტუმროში ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი იზრდება



ცეცხლი ადგილობრივი დროით ღამის 03:30 საათზე 11-სართულიანი სასტუმროს მეოთხე სართულზე გაჩნდა. სასტუმრო 161 – ნომრიანია. სასტუმროს განლაგებამ საგანგებო სამსახურებს ცეცხლის ჩაქრობა და სამაშველო ოპერაცია გაურთულა. სტუმრები ცეცხლმოკიდებული სასტუმროდან თავის დაღწევას ფანჯრებიდან ცდილობდნენ.

მედიის ცნობით, ადგილზე მობილიზებული იყო საგანგებო სამსახურის ბრიგადები, მათ შორის 30 სახანძრო მანქანა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების 28 მანქანა. ცეცხლის ჩაქრობსა და სამაშველო ოპერაციაში 231 სპეციალისტი იყო ჩართული.

ბოლუს პროვინციის გუბერნატორის აბდულაზიზ აიდინის განცხადებით, ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ ხანძარი იმ სართულზე გაჩნდა, სადაც რესტორანია განთავსებული.

შემთხვევა თურქეთში არდადეგების პერიოდს დაემთხვა, რა დროსაც სამთო კურორტზე ბევრი ვიზიტორია. ინციდენტის დროს სასტუმროში 234 სტუმარი იმყოფებოდა. იუსტიციის მინისტრმა ხანძართან დაკავშირებით გამოძიების დაწყების შესახებ განაცხადა.

მომხდარს გამოეხმაურა თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი, რომელმაც გარდაცვლილთა ოჯახებს მიუსამძიმრა, ხოლო დაშავებულებს სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა. მისი თქმით, ის სიტუაციას ყურადღებით აკვირდება. ერდოღანის განკარგულებით, კურორტზე ჩავიდნენ შინაგან საქმეთა, ჯანდაცვისა და ტურიზმის მინისტრები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი.

კარტალკაიას სამთო-სათხილამურო კურორტი ქოროღლუს მთებში, ბოლუდან 38 კილომეტრში და სტამბოლიდან 270 კილომეტრში მდებარეობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ თურქეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს და თურქ ხალხს მიუსამძიმრა.

ფიცო ლიბერასტებს უტევს

სლოვაკეთის პარლამენტში დეპუტატებს სიტყვით მიმართა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, სადაც მიმდინარეობს დებატები ფიცოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებაზე. ფიცოს თქმით, ლიბერალები ყოველთვის ცდილობენ თავიანთი ოპონენტების დისკრედიტაციას.

მან ასევე აღნიშნა, რომ ყოველდღიურად იღებს მუქარის შემცველ წერილებს.

ფიცომ სიტყვით გამოსვლისას ასევე ახსენა საქართველო. მისი თქმით, რუმინეთი და საქართველო უნდა იყვნენ შემაკავებელი მაგალითი იმისა, თუ როგორ იქცევა დემოკრატია, როდესაც მათთვის არასწორი ადამიანი იმარჯვებს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ევროკავშირი ამჟამად ცდილობს სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვას, მაგალითად ღირებულების საკითხების წინ წამოწევით, ასევე საგანმანათლებლო სისტემებში ჩარევით.

ფიცომ ასევე აღნიშნა, რომ ბავშვების შვილად აყვანა მხოლოდ ჰეტეროსექსუალ წყვილებს შეეძლებათ და სლოვაკეთში კაცი იქნება კაცი და ქალი იქნება ქალი.

DEEP STATE-მა არასამთავრობო სექტორის და მათი აგენტურის სახით საქართველოში პარალელური ხელისუფლება შექმნა

გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი, დეპუტატი გურამ მაჯარაშვილი:

– ბატონო გურამ, დასავლეთის ცალკეული ქვეყნებიდან საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა გრძელდება. სანქციების პოლიტიკის გატარების მცდელობას ვხედავთ, ამჟერად, დიდ ბრიტანეთში, სადაც 14-მა დეპუტატმა წარადგინა ინიციატივა მიძინა ივანიშვილის დასანქცირების შესახებ. რა არის ამის მიზანი და რას პასუხობს მათ „ქართული ოცნების“ პოლიტსამჭო?

– გლობალური ომის პარტია, რომელსაც ახლა უკვე დონალდ ტრამპმა DEEP STATE დაარქვა, დიდი ხანია მშვიდობას და ქვეყნების სუვერენიტეტს ებრძვის. ქართული ხელისუფლება კი, ისე როგორც ევროპის უდიდესი ნაწილი, მშვიდობისთვის იბრძვის და ამიტომაც არის, რომ გერმანიის კანცლერის ოლაფ შოლცის პარტიას მხარდამჭერთა 13 პროცენტი აქვს, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის პარტიას კი, 21 პროცენტიც არა აქვს და ქვეყანაში არჩევნები ტარდება, რადგან ხალხმა დაინახა, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჯერ კიდევ ნებისმიერი მეთოდით მიმდინარეობს ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე. საქართველოში, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ამ DEEP STATE-მა, პრაქტიკულად, არასამთავრობო სექტორის და მათი აგენტურის სახით, პარალელური ხელისუფლება შექმნა. ამიტომაც ვერ ეგუებიან ძალაუფლების დაკარგვას საქართველოში, მაგრამ მოუწევთ, რადგან 2025 წელი აუცილებლად იქნება დღის წესრიგის ცვლილების წელი მსოფლიო პოლიტიკაში!

ასე რომ, დიდ ბრიტანეთში, რამდენიმე პარლამენტარის მიერ დაინიცირებული სანქციები, არის განწირული ადამიანის ბოლო გაფართხალება. ვიცით, რომ სანქციები არ მოქმედებს მიძინა ივანიშვილზე. ივანიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის სუბიექტური ინტერესები მეორეხარისხოვანია, მისთვის უპირველესია ქვეყნის ინტერესები და არა მარტო განაცხადა, დაადასტურა კიდევაც ეს თავისი ქმედებით.

– მმართველი გუნდი იმედოვნებს, დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტება შეამცირებს წნეხს საქართველოს ხელისუფლებაზე და არც ოპოზიციას ექნება ასეთი მხარდაჭერა ამერიკის მხრიდან. მაინც, რა გაძლევთ ამაზე ფიქრის საფუძველს?

– არც „ქართულ ოცნებას“ და არც ჩვენ, „ხალხის ძალას“, არასდროს გვითქვამს, რომ ტრამპი მოვა და, ის დღეში ნახევარ საათს მაინც, საქართველოზე ფიქრს დაუთმობს. საუბარია იმაზე, რომ ჩვენი პოლიტიკა მინიმუმ 80 პროცენტით ემთხვევა ტრამპის პოლიტიკას. ჩვენ ვაკრიტიკებდით ბაიდენის ადმინისტრაციას იმის გამო, რომ ის უწყობდა ხელს რუსეთ-უკრაინის ომს. ახლა კი, დონალდ ტრამპმა და მისმა მომავალმა სახელმწიფო მდივანმა პირდაპირ გახსნა კარტები და თქვა, რომ ბაიდენი იყო ყველაზე ცუდი პრეზიდენტი, ვინც კი ოდესმე ჰყოლია ამერიკას. ეს არის იმ ტრამპის სიტყვები, რომელიც ამერიკის აბსოლუტურმა უმრავლესობამ აირჩია და, შესაბამისად, ამერიკელი საზოგადოების განწყობა გახლავთ ზუსტად ისეთი, რაც ჩვენ, „ხალხის ძალას“ გაგვაჩნდა ჯო ბაიდენის მიმართ. ტრამპი პირდაპირ ამბობს, რომ ამერიკის პოლიტიკა დაეფუძნება არა ტრანსგენდერებს და ლგბტ პოლიტიკას, არამედ ოჯახურ ღირებულებებს; დაეფუძნება მშვიდობას და არა ომს. ამიტომაც, მისი პრიორიტეტები, თავისთავად, არის საქართველოს ინეტერესებში – ჩვენ აღარ მოგვთხოვენ მეორე ფრონტის გახსნას, რადგან თვითონ იბრძვიან მშვიდობისთვის, აღარ მოგვთხოვენ ლგბტ პროპაგანდას, იმიტომ, რომ თვითონ იბრძვიან ოჯახური ღირებულებებისთვის. თავისთავად, მოხდება ისე, რომ ტრამპის პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე იქნება მორგებული, თორემ ჩვენ რომ საქართველოს ინტერესები უნდა დავიცვათ და ტრამპმა – ამერიკის, ამ მხრივ არაფერი იცვლება!

– სალომე ზურაბიშვილის ვიზიტზე რას იტყოდით ტრამპის ინაუგურაციაზე? ფაქტია, რომ ეს ქალი ამჟერადაც ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებს!

– გლობალური ომის პარტიის და ზურაბიშვილის „სიცანცარეს“ დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც სიფრთხილე გვმართებს, რადგან საკმაოდ დიდი რესურსი აქვთ მათ და დღემდე მსუყედ იკვებებიან უცხოეთიდან. ახლა იმიტომაც გაწიწმატდნენ, რომ ძალაუფლება დაკარგეს და ძალიან მალე ეს საკვები გამოეცლებათ, რადგან მათ პატრონებს თავიანთი თავი ეყოლებათ გადასარჩენი. ასე რომ, იყიდის თუ არა სალომე ზურაბიშვილი ტრამპის ინაუგურაციაზე დასასწრებ ბილეთს სადმე, ბუჩქთან ახლოს, 220 ათას ადამიანს შორის, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ის იქნება, თუ ვინმე დაუსვამს ამ ქალს კითხვას, – რომელი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მიდის?! – იმ პრეზიდენტის, რომლის პოლიტიკასაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება?! ბაიდენი აგინებს ტრამპს, ტრამპი აგინებს ბაიდენს... და უარყო უკვე ბაიდენის ადმინისტრაცია სალომე ზურაბიშვილმა?! რომ შემოუტრიალდეს ტრამპის რომელიმე მხარდამჭერი და ჰკითხოს, შენ ის ქალი არა ხარ, ომს რომ უჭერ მხარს უკრაინაში და ლგბტ დროშას რომ ათრიალებო? ვეტო რომ დაადე ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონს, შენ ის „პრეზიდენტი“ არა ხარო, რომ ჰკითხონ, რას უპასუხებს ზურაბიშვილი?! – აი, აქ არის გაჭედილი არამხოლოდ ზურაბიშვილი, არამედ, მთელი კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ და მთავარია, საზოგადოებამ დაინახოს მათი ეს ორმაგი სტანდარტი, თორემ ორი კვირის წინ სხვანაირად საუბრობდი და ახლა რა შეიცვალაო, რომ ჰკითხო, მაგათთან ეს არ ჭრის! მთავარია, საზოგადოება მიხვდეს, რასთან გვაქვს საქმე, რადგან 2025 წელს აუცილებლად ვიხილავთ განსხვავებულ პოლიტიკას როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში.

ესაუბარა

ნონა ძარძაშაძე

მამუკა მდინარაძე:

რატომ ეტენებიან ტრამპს ჩვენი ლიბერალი ფაშისტები?!

– ჩვენთვის ყველაზე დამაიმედებელი არის ბატონი დონალდ ტრამპის ის განცხადებები, რომელიც მან გაახმოვანა ამერიკის და საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე, რომ დაამარცხებს „დიფ სთეითს“, რომელიც ოჯახურ ღირებულებებზე იქნება ორიენტირებული და დაამთავრებს ომს უკრაინაში. სამივე ეს მიდგომა ჩვენ გვაწყობს ძალიან, რადგან „დიფ სთეითი“ ებრძოდა საქართველოს ამდენი ხნის განმავლობაში და დღეს რომ მიძინა ივანიშვილის დასაშანტაჟებლად და იმიტომ რომ „დიფ სთეითი“ ამხილა, მეორე შვეიცარიულ ბანკს უდიდეს რეპუტაციულ ზიანს აყენებენ. ესეც „დიფ სთეითის“ „ღვაწლია“. „დიფ სთეითის“ დამარცხება ჩვენს ქართულ, ეროვნულ ინტერესებშიც ჯდება.

ჩვენს პოზიციებში ბატონ ტრამპის თვალსაზრისს ვემთხვევით. როდესაც ომის დამთავრებაზეა საუბარი, თუ გაქრება საქართველოს მეორე ფრონტად ქცევის მავნებლური მიზანი, საქართველოს მიმართ წნეხი, როგორც მინიმუმ ყველაზე რბილად და გნებავთ პესიმისტურად რომ ვთქვათ, შემცირდება. ჩვენ ძალიან გვებრძოდნენ და გვეჭიდავებოდნენ, თუმცა ამას კულისებიდან უფრო ახერხებდნენ და შემდეგ ევროპარლამენტის რეზოლუციაში მოხვდა ჩანაწერი, სადაც ღიად მოგვთხოვეს გამჭვირვალობის კანონთან ერთად ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონის გაუქმება და ტრამპის მიდგომაც ისეთია, რომ იცავს თავისი განცხადებებით, დამოკიდებულებით ოჯახურ ღირებულებებს. აქაც ჩვენი პოზიციები აბსოლუტურად ემთხვევა. თუ ამ სამ მთავარ ამბავში, ჩვენი პოზიციები ემთხვევა, ეს გვიჩენს ბუნებრივია იმისი ოპტიმიზმის საფუძველს, რომ საქართველოს მიმართ ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც კი გარკვეული წნეხი უნდა შესუსტდეს.

ჩვენი ოპონენტები დადიან და რაღაც ბილეთებს (ინაუგურაციაზე დასასწრებ) იძენენ და მერე ამბობენ, რომ ბილეთების შეძენა არ ხდება, არადა ვნახეთ ბილეთების გაყიდვის პრეცედენტი. ისინი 1200 დოლარად ცდილობენ, რომ ვიღაცას მოაჩვენონ, თითქოს ტრამპმა მიიწვია (სალომე ზურაბიშვილი ინაუგურაციაზე). მეტი საქმე არ ჰქონდათ და სულ იმაზე ფიქრობდნენ ვაშაძე და ხაზარაძე როგორ მიეწვიათ ტრამპის ინაუგურაციაზე. ფოტოებს თუ დადებენ, ცუდი არ იქნება რა პოზიციაზე და რომელ ლოჟებში ისხდებიან. სულ რომ ასე იყოს მართლა, მათი დამოკიდებულება და ამერიკელი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის დამოკიდებულება არ ემთხვევა ერთმანეთს. ემთხვევა ჩვენი და ამერიკელი ხალხის არჩეული პრეზიდენტის დამოკიდებულება. ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს“, – აღნიშნა მდინარაძემ.

– ჩვენი ოპოზიციონერები ტრამპს ეძახდნენ რუსულ პროექტს. დღეს მათ რამდენი ვაზელინიც არ უნდა შეიძინონ თავისი ძველი განცხადებების დასარბილებლად, არ ეყოფათ. ეტენებიან ადამიანს, რომელსაც სასტიკად ლანძღავდნენ... განაცხადა აღმასრულებელმა მდივანმა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ.

ვლადიმერ პუტინი:

რუსეთი ღიაა დიალოგისთვის ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან

მოსკოვი მიესალმება ტრამპის დამოკიდებულებას და მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საჭიროა, ყველაფერი გაკეთდეს მესამე მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად.

რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს სხდომის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა დონალდ ტრამპს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და უკრაინაში გრძელვადიანი მშვიდობის მიღწევის მნიშვნელობა აღნიშნა.

„წინასაარჩევნო პერიოდი ტრამპისთვის ყველა თვალსაზრისით მარტივი არ იყო. მან გამოიჩინა სიმამაცე და არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა“, – აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, უკრაინაში კონფლიქტთან დაკავშირებით მოსკოვი ღიაა დიალოგისთვის ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან.

უკრაინის კონფლიქტის მოგვარების მიზანი არ უნდა იყოს მოკლევადიანი ზავი, არამედ გრძელვადიანი მშვიდობა. არა რაიმე სახის შესვენება ძალების გადაჯგუფებისა

და გადაიარაღებისთვის კონფლიქტის შემდგომი გაგრძელების მიზნით, არამედ გრძელვადიანი მშვიდობა, რომელიც დაფუძნებულია ამ რეგიონში მცხოვრები ყველა ხალხის და ერის ლეგიტიმური ინტერესების პატივისცემაზე. მთავარია, აღმოიფხვრას კრიზისის ძირითადი მიზეზები, რაზეც მოსკოვმა არაერთხელ ისაუბრა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ რუსეთის ინტერესებისთვის, რუსი ხალხის ინტერესებისთვის. ეს, ფაქტობრივად, არის სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩატარების მიზანი და მნიშვნელობა...

რობინზონ კრუზო არ დარჩა იზოლაციაში, პარასკევა გამოჩნდა, ჩვენ რა დაგვემართება ასეთი?!

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, 2023 წელს, ლიბერალი გაიდენის ხანაში, საქართველო აქტიურად ჩაეთო უნგრეთში გამართულ კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე. პოლიტოლოგის განცხადებით, ამ ნაბიჯის ვერსპექტივა გულისხმობს, რომ კავკასიის კარიბჭეს კონსერვატორები გააკონტროლებდნენ, რაც ლიბერალების გრძელვადიან ინტერესებს ეწინააღმდეგება. ეს კი, გაიდენს აიძულებდა, რომ „ოცნების“ ურჩი, კონსერვატიული ხელისუფლება შეეცვალა ხავერდოვანი რევოლუციის საშუალებით, რომლითაც 2003 წელს ხელისუფლებაში მოვიდნენ ნაციონალები.

– 2024 წლის ვერიფიტეტებმა არ დაგვიტოვა იმის ილუზია, რომ 2025 წელი უკეთესი, ან ნაკლებად პრობლემური იქნება. მიმდინარე მოვლენები ადასტურებს, რომ 2025 წელი იქნება სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვისთვის რთული ბრძოლის წელი. ვხედავთ, რომ რადიკალური ოპოზიცია და მათი მხარდამჭერები ღიად აწყობენ სახელმწიფო გადატრიალებას. რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, რა მოლოდინები გაქვთ და როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები? გამოსავალს რაში ხედავთ?

რამაზ საყვარელიძე: ცნობილია, რომ საქართველო კავკასიის კარიბჭეა. ცნობილია ისიც, რომ კავკასიაზე ტრანზიტის გატარებას აპირებს ჩინეთი. ცნობილია, რომ ამერიკა ჩინეთს აღიქვამს კონკურენტად. ესე იგი მას ესაჭიროება გავლენა კავკასიაზე. პომპეოს პირით ამერიკამ საჯაროდ გააფრთხილა საქართველო, ჩინეთი არ შემოუშვათო. ამის შემდეგ საქართველომ ჩინეთთან სტრატეგული ხელშეკრულება გააფორმა ამერიკის დაუკითხავად. ამასთანავე, რუსეთ-უკრაინის ომში არ ჩაერთო ამერიკის სურვილის მიუხედავად. ამ გეოპოლიტიკური ასპექტების გარდა გაჩნდა პარტიული ასპექტი.

აქვე შევნიშნავ, რომ ქართული ოპოზიციის რიტორიკაში რევოლუცია, ფერადიც კი, იშვიათად ფიგურირებს. საარჩევნო პერიოდშიც ისინი ისე პასიურები იყვნენ, რომ შეიძლება არც ისწრაფვიან ხელისუფლების ტვირთის აღებისკენ, შეიძლება საპარლამენტო ოპოზიციის როლი უფრო აწყობთ, მაგრამ აქტიურობენ, რომ არ დაკარგონ პარტნიორები დასავლეთში და რომ არ აწყენინონ, მათ არაადეკვატურ რეკომენდაციებსაც ასრულებენ. მაგალითად, არაადეკვატური იყო მაშხალებით შეტევა (ეს რომ ახალი საპროტესტო ბრენდია, აჩვენა გერმანიამ და საფრანგეთმა), რითაც მშვიდობიანი პროტესტის მხარდამჭერები დაკარგეს საქართველოში.

მოკლედ, მგონია, რომ ოპოზიცია დიდი ხალისით არ მოქმედებს. მეტი ხალისი აქვთ ახალგაზრდებს, მაგრამ მათ ნამდვილად არ სურთ რევოლუცია, სურთ რომ მათმა ლაღმა პროტესტმა რაღაც შედეგი მოიტანოს...

– აშშ-სა და ევროკავშირში „ქართული ოცნების“ მიმართ ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები აშკარად მიმართულია იმისკენ, რომ მაქსიმალურად დაასუსტონ „ქართული ოცნება“ და აიძულონ, ასეთ მდგომარეობაში ჩაატაროს ახალი არჩევნები. მიზანი არის ხელისუფლების შეცვლა და დასავლეთისთვის მისაღები პოლიტიკური ძალის მოყვანა. როგორ ფიქრობთ, მიაღწევს ეს დასავლეთი საქართველოში თავისი გეგმის განხორციელებას?

– ამ საკითხს შემოვუაროთ იქიდან, რომ გაურკვეველი გახდა, თუ რა არის დასავლეთი, რა ინტერესები აქვს, რა პოლიტიკას მისდევს და ა.შ. ამერიკაში მოდის ტრამპი. ანალოგიური ცვლილებებისკენ ნელა, მაგრამ მიიწევს ევროპაც. რას მოიტანს ეს სიახლეები, ძნელი სათქმელია. ძნელი სათქმელია ისიც, გაგრძელდება თუ არა საქართველოს მიმართ მათი პოლიტიკა. როგორიც არ უნდა იყოს დასავლეთი, თითქმის სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ჯერჯერობით სხვა ვერავინ მოვა არსებული სპექტრიდან ისეთი, რომელიც მხოლოდ დასავლეთისთვის იქნება მისაღები. ხალხის დიდმა ნაწილმა გაიგო პოლიტიკური დამოუკიდებლობის გემო და მოეწონა კიდეც, რაც გამოჩნდა არჩევნების შედეგში. დამოუკიდებლობის სიამოვნებას ის არ დათმობს.

– ვხედავთ, რომ კოლექტიური დასავლეთი განაგრძობს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების არაღიარების პოლიტიკას და ხელისუფლების საერთაშორისო იზოლაციის მცდელობებს, რასაც უდავოდ ექნება გარკვეული გავლენა. რა შემხვედრი ნაბიჯები შეიძლება გადადგას ხელისუფლებამ, რომ ქვეყანა არ აღმოჩნდეს სრულ იზოლაციაში?

– იზოლაციის ეს საფრთხე, სავარაუდოდ, ჩვენს დასაშინებლად მოგონილი გადასახლებაა კუნძულზე. რობინზონ კრუზო არ დარჩა იზოლაციაში, პარასკევა გამოჩნდა, ჩვენ რა დაგვემართება ასეთი?! ყველამ იცის, რა მძიმე დღეში გვამყოფებენ და აგერ, ორგანი არჩევნების მეორე დღეს მოვიდა გასამხნევებლად. ესე იგი, გვყავს მეგობრები. მთავარია, ამ გრძელებაში შეძენილი მეგობრები შევინარჩუნოთ და განვახორციელოთ ჩვენი ფუნქცია, რომ ვიყოთ აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ხიდი. თუ ეს მოხდა, ყველას დავჯირდებით...

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ოჰ, როგორ „დიპლომატიურად“ მიერეკებიან საქართველოდან ევროკავშირს!..

საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა! (მუხრანი)... დიახ, ახლა ასეა სწორედ, მაგრამ მაშინაც ასე იყო... მარკუს ავრელიუსის აზრებიდანაც შეგახსენებთ: რაც იყო უწინ, ის არის დღეს და ასე იქნება ხვალაც!..

ჩვენი თანამედროვე, ჭკვიანი ჟურნალისტის ბონდო მძინარაშვილის ინტერვიუმ დამაფიქრა. დრომ მოიტანა და დაარღვია ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ზრდილობის ფორმებში გამოხატული განწყობები, ყოველივე ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს ტელემედიაში. თუ ჟურნალისტები ადრე მტკიცედ იცავდნენ ჟურნალისტთა ეთიკურ კოდექსს და კოლეგიალობას, რესპონდენტსაც კი არ აძლევდნენ რომელიმე კოლეგის აუგად მოხსენიების საშუალებას, დღეს ყველაფერი პირიქით ხდება – აქებენ რესპონდენტებს უარყოფითი და ზოგჯერ ცრუ აზრების გაზიარებაში, მშვიდობიანობისა და მიუკერძოებლობის ნაცვლად ცეცხლზე ნავთს ასხამენ, საწინააღმდეგოსა და სალანძღავ სიტყვას არ იშურებენ ერთმანეთის მიმართაც...

ასეთია დღეს მხარეებად ქცეული, პოლიტიზირებული და დაპირისპირებული ტელეარხები, რომლებიც არა მხოლოდ ერთმანეთზე, არამედ მაყურებელზე ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. მუშაობენ არა საზოგადოების კონსოლიდაციისათვის, არამედ ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის დამახინჯებული სახით წარმოსაჩენად, ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეების დაპირისპირებას, დაძაბულობას, არეულობას, ქვეყნის გადაგდებას ეკონომიკური რელსებიდან.

ოპოზიციური პარტიების მიერ დაინტრიგებული თუ მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფილი ტელეარხები (საერთოდ, მედია), ერთად, დიდი ძალისხმევით ანადგურებენ ევროკავშირისაკენ მიმავალ იმ პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ ველს, რომლის დათბობას და დატვირთვას, ვინ იცის რამდენი შრომა და ენერგია მოანდომა „ოცნების“ ხელისუფლებამ.

ვფიქრობ, რომ დიდ რუსულ და საერთოდ, საქართველოს მტრის საქმეს აკეთებენ, უპირველეს ყოვლისა გადაგვამტერეს ევროკავშირი! წარმოგიდგენიათ, როგორ „დიპლომატიურად“ განდევნეს საქართველოდან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, რომელი მტერი მოგვიხერხებდა ამას! ის, რაც რუსეთმა ვერ შეძლო, შეძლეს ჩვენმა გედოვლათმა ოპოზიციონერებმა!

ახლა რა ხდება? ახლა ევროკავშირისა და ამერიკის ჩინოვნიკები იმის ნაცვლად, რომ დაუკვირდნენ და გაიაზრონ, რატომ კარგავენ საქართველოს, ასეთ ერთგულ და მათთვის სასარგებლო პარტნიორს, აყოლილნი არიან „ფეხის ხმას“ და ერთმანეთზე მიყოლებით ასანქცირებენ საქართველოს პარლამენტის წევრებს თუ სხვა ცნობილ მოქალაქეებს, უმეტეს წილად იმათ, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, ამ სიყვარულს ავლენს შრომით და მოვლა-პატრონობით, ქართველ ხალხში ევროპისკენ მისწრაფების ჩანერგვით. რაღაც დიდ გაუგებრობას თუ დიდ საიდუმლოებას აქვს ადგილი!.. ასეა თუ ისე, საქართველო ბეწვის ხიდზეა შემდგარი, უნდა ფრთხილად გადავლახოთ, მაგრამ როგორ? მტერი ყოველ კუთხეშია ჩასაფრებული და ეს მტერი შიგნიდან გაცილებით მეტი გვყოლია, ვიდრე გარედან. ჩვენი ისტორიის მქონე ხალხს რა უნდა გაგვიკვირდეს. მაინც გვიკვირს, გვიკვირს მათი მოულოდნელი „ერთობა“ უარგუმენტო მოთხოვნებით – ხელახალი არჩევნების ჩატარებისა; გვიკვირს, ვითომ აღშფოთებული გამოსვლები სხვადასხვა მიმართულებისა და პროფესიების ადამიანთა ჯგუფებისა თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. გვიკვირს, რომ ბედავენ და გამოდიან ხალხის სახელით მაშინ, როდესაც ჭკვიანი და ნამდვილად დარბაისელი ქართველი ხალხი ჯერჯერობით ითმენს და ელოდება ტვინარეულთა დაშოშმინებას, მაგრამ ხალხის მოთმინების ფიალა თუ აივსო... ღმერთმა დაგვიფაროს და რა მოყვება ამას, ნუთუ ვერ აცნობიერებენ?. რა თქმა უნდა, საეჭვოა მათი ცნობიერების საკითხი, მაგრამ რა დროს მათი ცნობიერების გარკვევაზეა საუბარი, როდესაც ერთი პატარა ნაპერწკალიც კი საკმარისია დიდი ხანძრის ასაფეთქებლად!

რა თქმა უნდა, ვიღაცები „მაგრად“ მუშაობენ „ომის პარტიის“ მიერ შემოგზავნილი აგენტებით. როგორ არ ვიფიქროთ ასე, აბა მითხარით, ლოგიკას საით მივყავართ?..

დრო მიდის და იგი ნამდვილად არ მუშაობს საქართველოს სასარგებლოდ. თვითმარქვია ელჩები, „სამშობლოს ტანჯული პატრიოტები“ სამარცხვინო სალომესთან (ქალბატონი!) ერთად ამერიკაში გაემგზავრნენ, ასეთი სტუმრების უმისოდ ხომ არავითარი ხიბლი არ ექნებოდა ამერიკის 47-ე პრეზიდენტის ინაუგურაციას! ჰოდა, შარბათიც თან წაიღეს უცხოელ თანამოაზრეებში საქართველოს ახლად არჩეული პარლამეტისა და მთავრობისადმი სიყვარულის ჩასანერგად! ხურჯინებიც გაავსეს ქოსა-მატყუარას ზღაპრებით, ხომ უნდა დააჯერონ ჩვენი თუ ოპოზიციონერთა მოკავშირეები, რათა საქართველო კიდევ უფრო დიდ იზოლაციაში მოაქციონ! ქართველ ოპოზიციონერთა ამ ჯგუფს, უცხოთა ხელით, მთავრობის ჩამოგდება და ძალაუფლებაში თავად მოსვლა რომ სურს, ნუთუ მხოლოდ ჩვენ ვხვდებით ამას და საზღვარგარეთელი პოლიტიკოსები ვერ ხვდებიან? ხვდებიან რომელია! ჩვენდა საუბედუროდ, გაერთიანდნენ და ახლა ვიმტვრიოთ თავი, რატომ ხდება ეს ასე და როგორ ვებრძოლოთ შინაური და გარეშე მტრის ერთობას!

ფაქტია, რომ საქართველოდან აშკარად მიერეკებიან ევროკავშირს!..

გულნარა სტურუა

გამოჩენილი ქართველი ავიამშენებელი

დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, სამეურნეო საქმიანობის გამორჩეულ პიროვნებას, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ეტალონს, ქართველი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, საქართველოში ავიამშენებლობის ნიჭიერ ორგანიზატორს, საპატიო თბილისელს, საპატიო ზუგდიდელს, უკეთილშობილეს ადამიანს ბატონ ვაჟა(პანტიკო) თორდიას.

ბატონ ვაჟას ბავშვობისა და ცხოვრების გზა ყოველთვის არ იყო ვარდებით მოფენილი, მაგრამ ყველა სიტუაციაში ის გამოდიოდა და დღესაც გამოდის გამარჯვებული, არა კომპრომისებისა და დათმობების ხარჯზე, არამედ საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით, თავდადებული შრომისა და რწმენის მეშვეობით. ის იმ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა საზოგადოებისა და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების კეთებას მიუძღვნა.

ბატონი ვაჟა (პანტიკო) თორდია დაიბადა 1935 წლის 22 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედაეწერში. იგი სწავლობდა ზედაეწერის, ჩხორიის და ბოლოს ზუგდიდის სკოლა-ინტერნატში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რომლის შემდეგ დაამთავრა ქ.როსტოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმფრინავმშენებლობის ფაკულტეტი 1967 წელს და დარჩა იმავე ქალაქში სამუშაოდ. რამდენიმე წლის შემდეგ იგი გადმოდის საცხოვრებლად საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის საავიაციო ქარხანაში ინჟინრად, სადაც გაიარა ყველა სამსახურებრივი თანამდებობა. 1985-1991 წლებში თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების დირექტორია, 1991-1992 წლებში საქართველოს მრეწველობის მინისტრის მოადგილე, 1993-1998 წლებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი. 1998 წელს ინიშნება თბილისის სახელმწიფო საავიაციო საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად, ხოლო 2000 წლიდან კი შპს „თბილავიამშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქარხანაში დაიწყო რეაქტიული მოიერიშე „სუ-25“ თვითმფრინავების, მისი მოდიფიკაციებისა და „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართვადი რაკეტების სერიული წარმოება. მისივე თაოსნობით ჩატარდა საწარმოს ტექნიკური გადაიარაღების, კომპიუტერიზაციის და რესტრუქტურიზაციის პროცესები.

ბატონი ვაჟა არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, რაციონალიზატორული წინადადებებისა და არაერთი გამოგონების ავტორი. იგი გახლავთ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1991წ.), თბილისის საავიაციო ინსტიტუტის პროფესორი (2002წ.). მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართველთა მიერ შექმნილი პირველი კოსმოსური საინჟინრო ნაგებობების შექმნაში, დიდ გაბარიტიანმა გასაშლელმა რეფლექტორმა წარმატებით გაიარა გამოცდა, გასცდა დედამიწას და უკიდეგანო კოსმოსში, დამოუკიდებელ ორბიტაზე დაიწყო ფრენა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გაშვება აკადემიკოს, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით, აღიარებულია პრიორიტეტული მიმართულების საწყისად კოსმოსურ ტექნოლოგიებში, რისთვისაც 1983 წელს ბატონ ვაჟას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია(მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში).

ბატონი ვაჟა ბუნებით აღმშენებელია, შესანიშნავი პროფესიონალი, ნიჭიერი ორგანიზატორი, ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას მასში წესიერება და სიკეთე უდევს საფუძვლად. არასოდეს არავის წინაშე არ მოუხრია ქედი. მისთვის უზენაესი არის პირად წყენაზე მაღლა დგომის უნარი. ძმობაში უერთგულესი, მეგობრობაში თავდადებული, ახლობლებში გამორჩეული, რომელსაც ყოველგვარი ხმაურის, პომპეზურობის და მუდმივი რეკლამირების გარეშე უყვარს საქმის კეთება.

ბატონ ვაჟას ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია ორი საუკუნის მიჯნაზე, რომელიც აღსავსეა სირთულეებითაც და სიკეთეერთგულებითაც. მან ყველა ეტაპი განვლო ისე, რომ ადამიანური გრძნობის, ღირსების, ქართველობისა და პიროვნული საზოგადოებრივი მოვლენებისათვის არ უღალატია. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე მრავალი საინტერესო საქმის მოთავე და შემსრულებელია. მის პიროვნებაში გამძაფრებულია საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა და აქედან გამომდინარე, ითხოვს სათანადოს სხვისგანაც.

ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი აქვს ბატონ ვაჟას. მისმა უახლოესმა მეგობრებმა იციან, რამდენი რამ დელიკატურად მოუგვარებია, მოუწესრიგებია ადამიანის ბევრი უხერხულობა, ისე, რომ არც არავის გაუგია. მისი ნებისმიერი ქცევა და სიტყვაც მუდამ მოზომილ-მოწონილია, დაუფიქრებლად და გაუაზრებლად სიტყვას არ იტყვის. შეუცდომლად ერკვევა ადამიანებში, მათში მხოლოდ კარგს ეძებს და პოულობს კიდეც. ხანდახან დაუმსახურებელი უმადურობაც მიუღია, მაგრამ აქვს იშვიათი უნარი მიტევებისა და პატიებისა.

ბატონი ვაჟა არის უაღრესად ნათელი პიროვნება , რომლის მსგავსი იშვიათად შეიძლება შეგხვდეთ ცხოვრების გზაზე, ღირსებით სავსე და კეთილშობილი, თავმდაბალი, ყველა საუკეთესო ქართული თვისებების მქონე, თავისი ქვეყნის პატრიოტი, მაგალითის მიმცემი, ყველას მოყვარული. პატიოსნება და მოვალეობის პრინციპები მისი ბუნების განუყოფელი ნაწილი გახლავთ. ის გამოირჩევა განსაკუთრებული ანალიტიკური გონებით, უბრალოებითა და უშუალობით.

ახალგაზრდობაში გადალახული სიძნელეების, გამოწვევებისა და ბარიერების დაძლევის შემდეგ, როდესაც ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი განვლილია, სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ იგი ვალმოხდილია სამშობლოს წინაშე. შექმნა ქართული ავიამშენებლობის ისტორია, ააგო ორი ტაძარი, გააშენა რეკრიაციული ზონები, ეწევა ქველმოქმედებას.

ბატონ ვაჟა თორდიას დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის წოდებები და ჯილდოები, რომლებიც მას დამსახურებულად აქვს მიღებული ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში, ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი და ღირსების ორდენი.

ბატონი ვაჟა ცოცხალი მაგალითია მაღალი ზნეობის, მამულიშვილობისა და მოქალაქეობის, ჭეშმარიტი ქრისტიანმართლმადიდებელი, სამშობლოსა და ოჯახის უზომოდ ერთგული, მეგობრებისა და კოლეგების მიმართ თავდადებული, შესაშური მეუღლე, მამა, ბაბუა. არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი მეუღლისა და თანამოაზრის უდიდესი წვლილი ბატონ ვაჟას ესოდენ დიდ წარმატებაში.

ჩვენ, ბატონი ვაჟას მეგობრები, ყოველთვის სიამოვნებით და თამამად ვლაპარაკობთ მის დიდ ადამიანურ ღირსებებზე, დახვეწილ კულტურაზე, სამაგალითო კაცთმოყვარეობაზე. იგი ყოველთვის ცდილობს მისი თაობის წილხვედრი გზა უშეცდომოდ განვლოს. ამიტომაცაა მისი ბიოგრაფია შეუბღალავი, წრფელი და საინტერესო.

ჭეშმარიტ კოლხს, ჩინებულ მამულიშვილს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს დაბადებიდან 90 წლისთავს. ღმერთმა ჯანმრთელად და სიყვარულით ატაროს ცხოვრების დარჩენილ გზაზე ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი, ქართული ავიამშენებლობის პატრიარქი ბატონი ვაჟა(პანტიკო) თორდია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, საზოგადოება „ზუგდიდელი“.

თვითმმართველობის არჩევნები 2025 წლის 4 ოქტომბერს ჩატარდება!

ცესკო პოლიტიკურ პარტიებს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პროცედურებს ახსენებს.

ცესკოს ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები ტარდება 2025 წლის ოქტომბრის პირველ შაბათს (4 ოქტომბერი).

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 142-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად, პარტიის ხელმძღვანელმა პირმა (პირებმა), განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) თავმჯდომარეს:

ა) საკრებულოს არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა, თუ აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა.ა) რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას;

ა.ბ) არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში;

ბ) მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წლის 1 იანვრიდან 14 ივლისის ჩათვლით, თუ ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ვერც ერთ პირობას.

პარტიას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ ვერც ერთ პირობას, განცხადების წარდგენისთანავე გადაეცემა მხარდამჭერთა სიის ნიმუში. პარტია ვალდებულია პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, ცესკოს წარუდგინოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის სია. მხარდამჭერთა სიას ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს საარჩევნო კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში. საარჩევნო პერიოდში ცესკოს სათანადო სამსახური წარდგენიდან 2 დღის ვადაში ამოწმებს მხარდამჭერთა სიებს და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს.

განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ცესკოსთვის განცხადების წარდგენამდე, ბოლო 10 დღის ვადაში გაცემული ამონაწერი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრიდან, პარტიის ხელმძღვანელობის/ წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მითითებით.

ცენტრალური საარჩევნო კომისია პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც სურთ მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობა, მოუწოდებს, დროულად განახორციელონ აღნიშნული უფლების მოსაპოვებლად ყველა საჭირო პროცედურა.

დავით სონღულაშვილი:

რეკორდული შემოსავალი ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტით

„ხელისუფლების მიერ გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები, 2023 წელთან შედარებით, 24%-ითაა გაზრდილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროდუქცია ექსპორტირებულია 70 ქვეყანაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ბაზრები დივერსიფიცირებულია. ექსპორტის ზრდა განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის მიმართულებით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პოლონეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და ა.შ., რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს დარგთან მიმართებით არის სწორი და თანმიმდევრული“, – განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

როგორც დავით სონღულაშვილმა აღნიშნა, სახელმწიფო გააგრძელებს დარგის მხარდაჭერას. ღვინის კომპანიებს და მარნებს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცემათ საკუთარი პროდუქცია წარადგინონ ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების ბაზრებზე, რომ გაზარდონ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია და შენარჩუნდეს ქვეყნის ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის სტაბილური განვითარება.

დონალდ ტრამპის მეორე ერა ამერიკისათვის „ოქროს საუკუნის“ დაპირებით იწყება

ბრიტანულმა სამაუწყებლო კომპანია BBC-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „დონალდ ტრამპის მეორე ერა ამერიკისათვის „ოქროს საუკუნის“ დაპირებით იწყება: რა თქვა ინაუგურაციაზე და რის გაკეთებას აპირებს ახალი პრეზიდენტი“ (ავტორი ენტონი ზურკერი, კორესპონდენტი ვაშინგტონში).

გთავაზობთ, პუბლიკაციას:

დონალდ ტრამპი, რომელიც თეთრ სახლში ამერიკელ ამომრჩეველთა საყოველთაო უკმაყოფილების ფონზე დაბრუნდა დემოკრატი პრეზიდენტის მმართველობის გამო, თავის საინაგურაციო გამოსვლაში მოსახლეობას დაპირდა, რომ ამერიკისათვის ახალი „ოქროს საუკუნე“ დგება.

დონალდ ტრამპის გამოსვლა დაპირებებისა და წინააღმდეგობების ნარევს წარმოადგენდა. მათში მკაფიოდ ჩანდა ის ზოგიერთი საკითხი და გამოწვევა, რომლებიც ახალ პრეზიდენტს წინ დახვდება პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს.

ამერიკის ლიდერმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმიგრაციას და ეკონომიკას – იმ საკითხებს, რომლებიც, საზოგადოებრივი გამოკითხვის მიხედვით, ამერიკელ ამომრჩეველს გასულ წელს ყველაზე უფრო მეტად აღელვებდა. დონალდ ტრამპი ამერიკელებს ასევე დაპირდა, რომ ბოლოს მოუღებს აშშ-ის დემოკრატი მთავრობის მიერ რეკლამირებულ მრავალფეროვნების პროგრამებს და ხაზი გაუსვა, რომ ამ მიმართულებით აშშ-ის ოფიციალური პოლიტიკა დაეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, არსებობს მხოლოდ ორი სქესი – მამაკაცი და ქალი. სხვათა შორის, განსაკუთრებით სწორედ ამ ფრაზამ გამოიწვია აღფრთოვანებული რეაქცია კაპიტოლიუმში და მეზობელ **Capital One Arena**-ზე შეკრებილი დონალდ ტრამპის მხარდამჭერების ხანგრძლივი აპლოდისმენტები. ეს არის იმის ნიშანი, რომ კულტურის სფეროს საკითხები, რომლებზეც რესპუბლიკელი დონალდ ტრამპი დემოკრატებს უპირისპირდებოდა, სწორედ იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც კიდევ დიდხანს დარჩება ელექტორატისა და ახალი პრეზიდენტის დამაკავშირებელ რგოლად.

მაგრამ სანამ იმას აღნიშნავდა, თუ რას მოუტანს ახალი ეპოქა, დონალდ ტრამპმა ამჟამინდელი ამერიკული პოლიტიკური კლიმატის საკმაოდ უღიმღამო და ბნელი სურათი დახატა. იმ დროს, როცა ინაუგურაციაზე მყოფი მისი წინამორბედები – ჯო ბაიდენი და დემოკრატიული პარტიის სხვა ლიდერ-წარმომადგენლები გაქვავებული სახეებით ისხდნენ, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობა „ნდობის კრიზისს“ განიცდის. მან დაგმო წინა დემოკრატი პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის (მთავრობის) მოქმედება, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით, მასზე როგორც რესპუბლიკელთა კანდიდატზე, ყველანაირ ზეწოლას ახდენდნენ და დევნიდნენ – 2020 წლის არჩევნების შედეგების ეჭვქვეშ დაყენების გამო.



დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ შეაჩერებს და უკუაგდებს „საშინელი ღალატის პოლიტიკას“ და მწავედ გააკრიტიკა აშშ-ის „რადიკალურ-კორუმპირებული ისტებლიშმენტი“, რომელიც, მისი თქმით, ამერიკელ მოქალაქეებს ხელისუფლებას ართმევდა და მათ ხარჯზე მდიდრდებოდა.

კაცმა რომ თქვას, ეს იყო ერთგვარი პოპულისტური, ანტიელიტური რიტორიკა, რომელიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში დონალდ ტრამპის გამოსვლების ძირითად ელემენტს წარმოადგენდა, თუმცა იმ დროისაგან განსხვავებით, როცა დონალდ ტრამპმა პირველად დაიწყო აღმასვლა აშშ-ის პოლიტიკური ხელისუფლების მწვერვალისაკენ 2015 წელს, ამჯერად იგი თვითონ წარმოადგენს იმ ისტებლიშმენტის ნაწილს, რომელიც უკვე ყალიბდება – იმავე დონითა და მდგომარეობით, როგორც ნებისმიერი ამერიკელი მოქალაქე. დონალდ ტრამპის უკან, შემაღლებულ ადგილზე ისხდნენ ამერიკული ბიზნესის მსოფლიოში ცნობილი გავლენიანი წარმომადგენლები - მარკ ცუკერბერგი, ჯეფრი ბეზოსი, სუნდარ პიჩაი, ილონ მასკი...

თავისი ინაუგურაციის დღეს დონალდ ტრამპმა ყურადღება მიიპყრო იმითაც, რომ მოსახლეობას უამრავ ბრძანებულებაზე ხელმოწერას დაპირდა - იმიგრაციის, ენერგეტიკის, ვაჭრობის, განათლებისა და კულტურის მწვავე საკითხებზე. პრეზიდენტმა ზოგიერთ მათგანზე ვრცლად ილაპარაკა: მან განაცხადა, რომ მოაგვარებს ენერგეტიკის და იმიგრაციის სფეროებში შექმნილ მძიმე სიტუაციას და გამოაცხადებს საგანგებო მდგომარეობას, რაც შესაძლებლობას მისცემს აშშ-ის საზღვრების გასწრივ ამერიკის არმიის ქვედანაყოფები განათავსოს, მკვეთრად შეზღუდავს თავშესაფრის მთხოვნელთა უფლებებს და კვლავ დაუშვებს ფედერალურ საკუთრებაში არსებულ მიწებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას.

საინაუგურაციო გამოსვლაში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მექსიკის ყურეს სახელს გადაარქმევს და ამერიკის ყურეს უწოდებს (ცნობისათვის: მექსიკის ყურე – ატლანტის ოკეანის ნაწილია, რომელიც ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-დასავლეთითან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია აშშ-ის, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან - მექსიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან - კუბის სანაპირო ზოლით).

დონალდ ტრამპმა კვლავ გაიმეორა თავისი დაპირება პანამის არხის დაბრუნების თაობაზე და გააკეთა უსაფუძვლო განცხადება, რომ მსოფლიოს ამ საკვანძო საზღვაო მარშრუტს ჩინეთი აკონტროლებს და ხაზი გაუსვა - „ამერიკული გემები, სამხედრო ხომალდების ჩათვლით, არხში გავლისას ძალიან ბევრ ფულს იხდიანო. ეს, ალბათ, მინიშნებაა პანამის მთავრობასთან მიმდინარე მოლაპარაკების მთავარ მიზანზე. „აშშ ისევ იქნება მზარდი ქვეყანა“, – თქვა მან და მოქალაქეებს დაპირდა აშშ-ის სიმდიდრის მატებას და ტერიტორიის გაფართოებას.

ბოლო გამონათქვამი, ალბათ, აშშ-ის მოკავშირეების ყურადღებას მიიპყრობს, რომლებიც უკვე შეშფოთებას ამჟღავნებენ დონალდ ტრამპის ინტერესით გრენლადიის დაუფლებაზე და მისი ხუმრობით, რომ კანადა აშშ-ის 51-ე შტატი გახდებაო.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს და 20 იანვრის საინაუგურაციო გამოსვლაშიც დონალდ ტრამპი ამერიკელებს ბევრი საკითხისა და პრობლემის მოგვარებას დაპირდა. ახლა, როცა იგი პრეზიდენტად აირჩიეს, როცა ინაუგურაცია უკვე ჩატარდა და როცა მან უკვე თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტის ადგილი იურიდიულად დაიკავა, მას თავისი დაპირებების შესრულება მოუწევს და იმის ჩვენება, თუ რას ნიშნავს „ოქროს საუკუნე“ ამერიკისათვის.

წყარო:
https://www.bbc.com/news/articles/cj02zmj59r5



სიმონ კილაძის გვერდი

©"უცხოეთის მასმედია: მიმოხილვა, ანალიზი, კომენტარი"
პროექტის ხელმძღვანელი: სიმონ კილაძე
ელფოსტა: simonkiladze@gmail.com
ფეისბუქი: https://www.facebook.com/profile.php?id=100005791115784&locale=ka_GE

უკრაინამ მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ლითიუმის საბადო დაკარგა

„უკრაინა რომ დათანხმებულიყო ჯერ კიდევ 2022 წლის მარტ-აპრილში შედგენილი ხელშეკრულების პროექტს, კიევი შეინარჩუნებდა ტერიტორიას, ეკონომიკას და ასობით ათასი მოქალაქის სიცოცხლეს“. — ნათქვამია ნორვეგიულ გამოცემა Steigan-ში გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „უკრაინამ მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ლითიუმის საბადო დაკარგა“.

გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:

ამერიკელმა სენატორმა ლინდსი გრემმა ფოქს-ნიუსისადმი ამას წინათ მიცემულ ინტერვიუში განმარტა, თუ რას შესთავაზებს ვოლოდიმირ ზელენსკი დონალდ ტრამპს მისი გულის მოსაგებად – უკრაინის მდიდარ სასარგებლო წიაღისეულს. „საერთოდ, ეს კონფლიქტი სიმდიდრისა და ფულისთვის მიმდინარეობს“, – განაცხადა პოლიტიკოსმა, რომელიც ხშირად დადის კიევში, – „ახლა მე რასაც გეტყვით, ამაზე ცოტას ლაპარაკობენ... იცით, უკრაინა ძალიან მდიდარი სახელმწიფოა ევროპულ ქვეყნებს შორის. უკრაინაში არის იშვიათ ლითონთა უდიდესი საბადოები, რომლებიც აქტუალურია 21-ე საუკუნეში. უკრაინის იშვიათი ლითონების მოცულობა 2-დან 7 ტრილიონამდე შეადგენს. კიევი მზადაა ჩვენთან კონტრაქტი დადოს, რომ რუსებს წიაღისეულის საბადოები ხელში არ ჩაუვარდეთ“.

2020 წელს ევროკავშირმა ლითიუმი, კობალტთან და ნიკელთან ერთად, რომლებიც ასევე გამოიყენება ელექტრობატარეების წარმოებისას, „უმნიშვნელოვანეს ნედლეულად“ გამოაცხადა. ბრიუსელმა მილიარდები ჩადო აკუმულატორების წარმოებაში იმ იმედით, რომ ლითიუმს ახლო მდებარე უკრაინიდან მიიღებდა და არა შორეული სამხრეთ ამერიკიდან.

უკრაინის მრეწველობას კოქსური ქვანახშირიც აღარ აქვს – კიევმა ქალაქ პოკროვსკთან მდებარე ძვირადღირებული ქვანახშირის საბადოც დახურა, რუსეთის არმიის მიახლოების გამო. კოქსური ქვანახშირი მეტალურგიული ქარხნებისათვის სპეციფიკურ საწვავს წარმოადგენს ფოლადის წარმოებისათვის. შესაბამისად, უკრაინული მეტალურგია დიდი ზარალის წინაშე დგას.

ნორვეგიელმა მიამიტმა პოლიტიკოსებმა

მაგრამ რამდენიმე დღის წინ უკრაინამ დაკარგა ის, რისი დიდი იმედიც ჰქონდა - დაბა შევჩენკოსთან არსებული ლითიუმის საბადო რუსების ხელში გადავიდა: ექსპერტების აზრით, რუსების მიერ მიღწეული წარმატების გამო ევროპულ პროგრამებს „მწვანე ენერგეტიკაზე“ გადასვლის მიზნით ჩაშლა ემუქრება.

უკრაინაში ლითიუმის კიდევ რამდენიმე საბადო არსებობს, მაგრამ შევჩენკოს ახლოს არსებული საბადო ყველაზე მდიდარი და პერსპექტიულ საბადოს წარმოადგენს – ლითიუმის მადნის 13,8-მილიონიანი მარაგით. დანარჩენი შედარებით ღარიბია და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გამდიდრება რთულია.

ვინ „ილესავდა კბილებს“ უკრაინულ ლითიუმზე?

ამერიკული კომპანიის **Ecological Futures Group**-ის დამფუძნებელმა როდ შუნოვარმა ლითიუმის უკრაინული მარაგები „სტრატეგიულ რესურსად“ შეაფასა, კიევს კი – „დასავლეთის პერსპექტიული პარტნიორი“ უწოდა.

კომპანია **European Lithium**-მა ჯერ კიდევ 2021 წელს შეიძინა შევჩენკოს საბადოს დამუსავების უფლება 184 მილიონ ევროდ, მაგრამ... ლითიუმით უმდიდრეს მიწა-წყალს ახლა რუსები დაეპატრონენ.

მეცნიერთა შეფასებით, უკრაინის შევჩენკოს საბადო თითქმის 500 ათას ტონა სუფთა ლითიუმის ოქსიდს შეიცავს, რაც მსოფლიოში უდიდესია. დღეისათვის, უკრაინის გამოკლებით, ლითიუმის მსოფლიო წარმოების 75% თავმოყრილია ე.წ. „სამკუთხედში“ – ლათინურ ამერიკაში – ჩილეში, ბოლივიაში და არგენტინაში.

(მათ შორის მემარცხენეებმაც) საკუთარ თავს იმის რწმენა ჩაუნერგეს, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ეროვნული სუვერენიტეტის დაცვის გამო მიმდინარეობსო, არადა ამერიკას და ევროკავშირს უკრაინის დამოუკიდებლობა მაინცდამაინც დიდად არ ადარდებს. მათთვის უკრაინა მხოლოდ მოგების წყაროა, რომელსაც, რასაკვირველია, დასავლეთისთვის დამჯერე ხელისუფლება ჰყავს – კიევი თანახმაა საკუთარი სიმდიდრის მათ მიერ გასაძარცვავად.

რა თქმა უნდა, რუსეთსაც აქვს ეკონომიკური ინტერესები. რუსეთს სურს კომფორტული პირობები შეუქმნას რუსულენოვან მოსახლეობას იმით, რომ მდიდარ საბადოებს დაიკავებს.

სამწუხაროდ, დასავლეთი ამჟამად რუსეთთან უკრაინის გამო მიმდინარე ომს აგებს. უკრაინის არმია სუსტდება და ძალიან დაბალია შანსი იმისა, რომ კიევმა დაკარგული ტერიტორიები უკან დაიბრუნოს. ახლა საკითხი ისე დგას, კიდევ რას დაკარგავს უკრაინა, როცა ზარბაზნების გრიალი შეწყდება და მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდებიან.

არადა, შეიძლებოდა ამ ყველაფრისათვის თავის არიდება. უკრაინას რომ 2022 წლის მარტ-აპრილში სტამბოლში მიმდინარე მოლაპარაკებაზე შედგენილი ხელშეკრულების პროექტი ეღიარებინა და ცხოვრებაში განეხორციელებინა, შეინარჩუნებდა ტერიტორიებს, მოსახლეობას და ეკონომიკას. სამწუხაროდ, დასავლეთმაც შეცდომები დაუშვა, რის შედეგებსაც იმკის.

წყარო: https://steigan.no/2025/01/ukraina-har-tapt-strategiske-litiumgruver/

ტრამპი პირველივე დღიდან ბობოქრობს!

პირველი დოკუმენტები უკვე ხელმოწერილია – დონალდ ტრამპმა ის 1 500 ადამიანი შეიწყალა, რომლებიც 2021 წლის 6 იანვარს, აშშ-ის კაპიტოლიუმს თავს დაესხნენ.

პრეზიდენტმა ასევე ხელი მოაწერა გრძანებას აშშ-ის მიერ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დატოვების შესახებ. ამის მიზეზად ორგანიზაციის მიერ COVID-19 პანდემიის არასწორი მართვა და პოლიტიკური გავლენისგან დამოუკიდებლობის დემონსტრირების უუნარობა დასახელდა.

გაიცა განკარგულება ასევე საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების, მათ შორის აშშ-ის სამხრეთ საზღვარზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

პარალელურად, ტრამპმა გააუქმა გაიდენის 78 აღმასრულებელი გრძანებულება.

ოვალურ კაბინეტში შესვლისთანავე, ტრამპმა იმ 1500 ადამიანის შეწყალების გრძანებას მოაწერა ხელი, რომლებიც 2021 წლის 6 იანვარს, კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრის საქმის ფარგლებში არიან მსჯავრდებული ან გრალდებული.

თეთრ სახლში დაგრუნებამდე კი საინაუგურაციო ცერემონიის ფარგლებში, ხელი მოაწერა აღმასრულებელი ოქმების სერიას, რომელიც ჯო გაიდენის 78 აღმასრულებელი გრძანების გაუქმებას მოიცავდა. ასევე საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას, მათ შორის შტატების სამხრეთ საზღვარზე ეროვნული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, ქვეყნის გასვლას პარიზის კლიმატის შეთანხმებიდან და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან, ასევე ფედერალური თანამშრომლებისთვის მუშაობის ვალდებულებას და სხვა ზომებს.

„აღვადგენ ყველა სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც უსამართლოდ გარიცხეს ჩვენი ჯარიდან კოვიდვაქცინის მანდატზე უარის თქმის გამო“, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საინაუგურაციო სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მის სოციალურ ქსელში დაწერა, რომ თანამდებობიდან ათავისუფლებს ოთხ ადამიანს, რომელიც მანამდე პრეზიდენტ ჯო გაიდენის ადმინისტრაციაში იყო დასაქმებული.

„ჩვენი პირველი დღე თეთრ სახლში ჯერ არ დასრულებულა! ჩემი საპრეზიდენტო საკადრო ოფისი აქტიურად არის დაკავებული წინა ადმინისტრაციის მიერ დანიშნული ათასობით ადამიანის გამოვლენითა და გათავისუფლებით, რომლებიც ჩვენს ხედვას „გავხადოთ ამერიკა კვლავ დიადი“ არ ეთანხმება“, – დაწერა ტრამპმა.

აშშ-ის საგარეო განვითარების დახმარება 90 დღით შეჩერდება, აშშ-ის საგარეო პოლიტიკასთან პროგრამული ეფექტიანობის და თანამიმდევრულობის შესაფასებლად/გადასახედად – ამის შესახებ ნათქვამია თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რომელსაც ხელს დონალდ ტრამპი აწერს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ აშშ-ის საგარეო დახმარებაზე პასუხისმგებელმა ყველა ხელმძღვანელმა პირმა უნდა შეაჩეროს ახალი ვალდებულებების აღება და თანხების გაცემა უცხო ქვეყნების, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონტრაქტორებისთვის მანამდე, სანამ არ შეფასდება, თუ რამდენად თანხვედრაშია აღნიშნული პროგრამები აშშ-ის საგარეო პოლიტიკასთან.

„აშშ-ის საგარეო განვითარების დახმარებაზე პასუხისმგებელმა ყველა დეპარტამენტის და სააგენტოს ხელმძღვანელმა განვითარების დახმარების ფონდებიდან უნდა გააჩეროს ახალი ვალდებულებების აღება და თანხების გაცემა უცხო ქვეყნებისა და განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონტრაქტორებისთვის მანამ, სანამ შემდეგი 90 დღის განმავლობაში არ მოხდება ამ პროგრამების აშშ-ის საგარეო პოლიტიკასთან პროგრამული ეფექტიანობის და თანამიმდევრულობის შეფასება.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც მექსიკის ყურეს სახელწოდება ეცვლება და ის დღეიდან ამერიკის ყურედ უნდა მოიხსენიონ.

ამავე განკარგულებით ტრამპმა ალასკაზე მდებარე ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე მაღალ მწვერვალს დენალის სახელი გადაარქვა და მას აშშ-ის 25-ე პრეზიდენტის უილიამ მაკკინლის სახელი დაარქვა.

* * *

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ორშაბათს ხელი მოაწერა ყოვლისმომცველ აღმასრულებელ გრძანებას სიკვდილით დასჯის შესახებ, რომელიც გენერალურ პროკურორს ავალებს “მიიღოს ყველა საჭირო და კანონიერი ზომა”, რათა უზრუნველყოს შტატებში საკმარისი ლეტალური ინიექციების არსებობა სიკვდილით დასჯის განსახორციელებლად.

ტრამპის გრძანება, რომელიც თეთრ სახლში დაგრუნებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოქვეყნდა, იუსტიციის დეპარტამენტს ავალდებულებს არა მხოლოდ მოითხოვოს სიკვდილით დასჯა შესაგამის ფედერალურ შემთხვევებში, არამედ დაეხმაროს სიკვდილით დასჯის შენარჩუნებაში იმ შტატებს, რომლებსაც უჭირთ სასიკვდილო ინიექციური წამლების ადეკვატური მარაგის შენარჩუნება.

მოსალოდნელი იყო, რომ ტრამპი განაახლებდა ფედერალურ სიკვდილით დასჯას, რომელიც შეჩერებული იყო მას შემდეგ, რაც ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა მერიკ გარლანდიმ 2021 წელს მორატორიუმი დააწესა. მხოლოდ სამი გრალდებული რჩება ფედერალურ სასიკვდილო მსჯავრდადებულად მას შემდეგ, რაც დემოკრატმა პრეზიდენტმა ჯო გაიდენმა, ცოტა ხნის წინ, 37 სიკვდილმისჯილს სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეუცვალა.

აღსანიშნავია, რომ მისი პირველი ვადის განმავლობაში, ტრამპმა 13 ფედერალური სიკვდილით დასჯა დაანიშნირა, რაც ყველაზე მეტი სასიკვდილო განაჩენია აშშ-ის თანამედროვე ისტორიაში.

დათბება გრენლანდიაში?

დონალდ ტრამპის საჯარო გამოსვლებმა მთელს მსოფლიოში უკვე დიდი შეშფოთება გამოიწვია. მან ამერიკის ტერიტორიის გაფართოებაზე დაიწყო ლაპარაკი: ჯერ პანამის არხის ამერიკის მფლობელობაში დაბრუნება მოითხოვა. მერე, მექსიკას გადასწვდა. მექსიკის ყურეზე თქვა, სახელი შევუცვალოთ და ამერიკის ყურე დავარქვათო. შემდეგ, კანადის პრემიერ-მინისტრ ტრიუდოს შესთავაზა, კანადა ამერიკის 51-ე შტატი გახდესო. ბოლოს, გრენლანდიის ყიდვაზე ჩამოაგდო სიტყვა.

ტრამპის ამ მოულოდნელ ინტერვენციულ გამოსვლებს დიდი კრიტიკა მოჰყვა. თითქმის, მთელმა მსოფლიომ იგი იმპერიალისტურ და რევიზიონისტული ზრახვებში დაადანაშაულა. ყველაზე მეტად ამერიკის ევროპელი მოკავშირეები აღშფოთდნენ. ტრამპის იდეებმა მათ ამერიკის 25-ე პრეზიდენტის უილიამ მაკ კინლისა და 26-ე პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის ინტერვენციული პოლიტიკა გაახსენა სხვა ქვეყნების მიმართ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი იყო, ამერიკამ თავისი აგრესიული პოლიტიკა მშვიდობიანი პოლიტიკით შეცვალა, რასაც, ჯერ, ერთა ლიგის და, მოგვიანებით, გაეროს შექმნა მოჰყვა. ამის შემდეგ, ამერიკა მეტი თავშეკავებით ექცეოდა სხვა ქვეყნებს.

დროთა განმავლობაში, ამერიკის მიერ შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ალიანსებმა და გავლენის სხვა ინსტრუმენტებმა მას დიდი გეოპოლიტიკური პოტენცია შესძინა. ახლა, ევროპაში ერთგვარი შიში გაჩნდა, რომ ტრამპი ამერიკულ-ევროპულ სტრატეგიულ კავშირებს შეასუსტებს ან, სულაც, დაშლის.

რაც შეეხება გრელანდიას, რატომაა მისი შეძენით ტრამპი ასე დაინტერესებული? გრენლანდიის, მსოფლიოს ყველაზე დიდი კუნძულის ფართობი 2 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტია. მისი ტერიტორიის 80 პროცენტი ყინულით არის დაფარული, რის გამოც კუნძულის მოსახლეობა მხოლოდ 56 ათასია. გეოგრაფიულად, გრენლანდია ამერიკის კონტინენტს ეკუთვნის, მაგრამ, ისტორიულად, სკანდინავიის რეგიონზეა მიმბული. ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში, აქ ვიკინგები გამოჩდნენ. მე-13 საუკუნიდან, გრენლანდია სკანდინავიურ-ნორვეგიულ უნიაში

შედიოდა. მე-16 საუკუნეში, კუნძული დანიის სამეფოს გადაეცა, მაგრამ 1953 წლიდან, იგი დანიის კოლონიად აღარ ითვლება. 1971 წელს კი, მას ფართო ავტონომია მიენიჭა. 2009 წლის შემდეგ, გრელანდიის ავტონომიური უფლებები კიდევ უფრო გაფართოვდა. ფაქტობრივად, კონფედერაციის სტატუსი მიენიჭა. დანია კუნძულის მხოლოდ ფინანსურ, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას განკარგავს.

გრენლანდია, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, მიმზიდველი ობიექტია დიდი ქვეყნებისთვის. ამერიკა გრენლანდიის ყიდვით მხოლოდ დღეს არ დაინტერესებულა. ამერიკის ხელმძღვანელობას ასეთი სურვილი მე-19 საუკუნეში გაუჩნდა. მაშინ ამერიკამ რუსეთისგან ალასკა შეიძინა და გრენლანდიის ყიდვაც მოინდომა, მაგრამ დანიამ ცივი უარი უთხრა. მეორე მსოფლიო ომის დროს კუნძულმა ამერიკისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. მან აქ სამხედრო და სატვირთო ბაზები განალაგა, რასაც მოკავშირეთა დასახმარებლად იყენებდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა დანიას, დიდი საფასურის სანაცვლოდ, კვლავ შესთავაზა გრენლანდიის დათმობა. დანიამ ამჯერადაც უარით უპასუხა ამერიკას. მოგვიანებით, დანია ნატოში გაწევრიანდა და გრენლანდიაში ამერიკამ სამხედრო ბაზები განათავსა, რომელიც დღემდე მოქმედებს.

გრენლანდია ნავთობით, ურანითა და იშვიათი ლითონებით მდიდარი კუნძულია, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებისთვის. გლობალური დათბობის შედეგად, გრენლანდიის წიაღისეულზე წვდომა გამარტივდება. ამჟამად, გრენლანდია დანიის სუბსიდიებზეა დამოკიდებული. დანია ყოველ წელს 500 მილიონი ევროს ოდენობის დახმარებას უწევს კუნძულს. უნდა ითქვას რომ ზოგი სპეციალისტი ტრამპის მოთხოვნებსა და მუქარებს სერიოზულად არ აღიქვამს. მათი აზრით, ტრამპი, როგორც პოკერის მოხერხებული მოთამაშე, ისე თვალთმაქცობს. ის თავისი გამოსვლებით მეორე მხარეში შიშის გამოწვევას ცდილობს, მერე კი, თავისთვის მომგებიან გარიგებას სთავაზობს. მეორე მხარე კი, ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ ტერიტორია არ დაკარგოს და ამერიკასთან ურთიერთობა არ გაიფუჭოს. არსებობს ასეთი აზრიც, რომ გრენლანდიის ყიდვის იდეა, შესაძლოა, ტრამპის პიარ-ტექნოლოგიის ნაწილი იყო ამომრჩევლის სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ

გაეჭევა ტრამპის ხომალდი პანამის არხში?

პანამის არხი მსოფლიო მნიშვნელობის გეოსტრატეგიული ობიექტია, რომელიც ერთმანეთთან ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს აკავშირებს. არხის სიგრძე 82 კილომეტრია, სიგანე კი, 33 დან 150 მეტრამდეა სხვადასხვა ადგილას. პანამისა და სუეცის არხები ადამიანის მიერ გაყვანილი ორი მთავარი სანაოსნო-სავაჭრო გზაა მსოფლიოში. პანამის არხმა გზა ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკენამდე გაანახევრა. არხი, ყოველწლიურად, 14ათასზე მეტ გემსა და 270 მილიარდი ღირებულების მილიონ ტონაზე მეტ სავაჭრო პროდუქციას ატარებს. როგორც ნაგებობა, არხი საინჟინრო ხელოვნების მწვერვალადაა მიჩნეული, რომელიც ამერიკის სამოქალაქო საინჟინრო საზოგადოებამ მსოფლიოს ახალ შვიდ საოცრებათა შორის დაასახელა.

პანამის არხის ისტორია მე-16 საუკუნიდან იწყება, როცა ესპანელებმა ეს ადგილი აღმოაჩინეს. 1513 წელს, მოგზაურმა ვასკო ნუნიეს დე ბალბოამ შეამჩნია, რომ პანამის ეს ნაწილი უმოკლესი გზაა ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკენამდე. მაშინ, ესპანელი კონკისტადორები, ანუ დამპყრობლები, მოკლე გზას ეძებდნენ, რომ ამერიკის ძირძველი მოსახლეობისთვის წართმეული ოქრო და სხვა სიმდიდრე ესპანეთში გაეზიდათ. 1534 წელს, ესპანეთის იმპერატორმა, კარლოს მეხუთემ განკარგულება გასცა, პანამის არხის გაყვანის მიზანშეწონილობაზე კვლევა ჩატარებულიყო, მაგრამ იმდროინდელი საინჟინრო ცოდნის სიმწირის გამო, კვლევა ვერ ჩატარდა. მე-18 საუკუნეში, საკითხი ხელახლა დადგა. არხის გაყვანის დეტალური გეგმა ესპანეთის ფლოტის ოფიცერმა, წარმოშობით იტალიელმა ალესანდრო მალასპინამ წარუდგინა ესპანეთის იმპერატორს, მაგრამ მეორე ცდაც უიღბლო აღმოჩნდა.

მე-19 საუკუნის შუა ხანებში კალიფორნიაში ოქრო აღმოაჩინეს. სწორედ, მაშინ დაიწყო ის ცნობილი ოქროს ციებ-ცხელება. ევროპისა და ახალშექმნილი ამერიკის სახელმწიფოს ოქროს მაძიებლებმა კალიფორნიას მიაშურეს. ოქროს გადაზიდვისთვის, პანამის არხის თემა ისევ დღის წესრიგში დადგა, მაგრამ მალევე მოიძებნა უფრო ადვილი გამოსავალი: 1855 წელს, პანამის ყელზე რკინიგზა გაიყვანეს. ეს სახმელეთო კავშირი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. რამდენიმე წლის შემდეგ, პანამის არხის გაყვანის იდეით საფრანგეთი დაინტერესდა. იდეის განხორციელებას მხარი სუეცის არხის მშენებელმა, ცნობილმა ფრანგმა მეწარმემ ფერდინანდ მარი ლესეფსმა დაუჭირა, რომელმაც, 1893 წელს, საჭირო ფინანსების მოსაზიდად, პანამის არხის მშენებლობის სააქციო საზოგადოება შექმნა. საზოგადოებაში, საფრანგეთის თითქმის მთელმა ბიზნეს ელიტამ ჩადო ფული. ფინანსები რომ მოიზიდა, ლესეფსმა კოლუმბიის მთავრობისგან, არხის აშენების ლიცენზია შეიძინა. შეგახსენებთ, მაშინ, პანამა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, არ არსებობდა. ის კოლუმბიის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა.

ფრანგები ლიცენზიის მოპოვებისთანავე შეუდგნენ მშენებლობას. არხის დაპროექტებასა და მშენებლობაში, ასევე აქტიურად მონაწილეობდა ფრანგი ინჟინერი გუსტავ ეიფელი. მშენებლობის პროცესში, ფრანგებმა ბევრი ადმინისტრაციული და სამშენებლო შეცდომა დაუშვეს. 260 მილიონი დოლარის დახარჯვისა და 70 მილიონი კუბამეტრი მიწის გათხრის შემდეგ, ლესეფსის კომპანია გაკოტრდა, რამაც, საფრანგეთში დიდი პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია, რადგან არხის მშენებლობაში საფრანგეთის ხაზინის ფულიც იყო ჩადებული. ასე დამთავრდა კრახით ფრანგების გეგმა.

პანამის არხის მშენებლობის წარუმატებლობის მიუხედავად, მოთხოვნილება არხის გაყვანაზე წლიდან წლამდე იზრდებოდა. ყველაზე მეტად, ამერიკის შეერთებული შტატები იყო დაინტერესებული. 1902 წელს, ამერიკამ საფრანგეთისგან პანამის არხის მშენებლობის ლიცენზია შეიძინა. ერთი წლის შემდეგ კი, კოლუმბიის მთავრობასთან არხის მშენებლობაზე შეთანხმებას შეეცადა, მაგრამ მისგან მკაცრი უარი მიიღო. ამის გამო, ამერიკის მთავრობამ პანამაში სეპარატიზმის გაღვივება დაიწყო, რასაც კოლუმბიის სახელწიფოს წინააღმდეგ პანამის აჯანყება მოჰყვა.

1904 წელს, ამერიკის ხელშეწყობით, პანამამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მისმა პირველმა მთავრობამ კი, ამერიკასთან პანამის არხის მშენებლობაზე ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვით, პანამის არხი და მიმდებარე მიწები 100 წლით ამერიკის მფლობელობაში გადადიოდა. სანაცვლოდ, ამერიკამ პანამას, ერთჯერადად, 10 მილიონი დოლარი გადაუხადა. ასევე, პანამის არხის არენდისთვის, შტატები, ყოველწლიურად, 250 ათას დოლარს გადაიხდიდა. ასე დაიწყო პანამის არხის მშენებლობის ახალი ეტაპი. 1904 წლის მაისში დაიწყო ამ მეგა-პროექტის განხორციელება. არხის მშენებლობაში 80 ათასამდე მუშა მონაწილეობდა. ამერიკის მთავრობამ ფრანგების შეცდომები გაითვალისწინა და, მშენებლობის მახლობლად, მუშათა დასახლება გააშენა, სადაც ისინი ოჯახთან ერთად ცხოვრობდნენ. მიუხედევად ამისა, ტროპიკული დაავადებებისა და სხვადასხვა ინციდენტების გამო, არხის მშენებლობის დროს, 30 ათასამდე მუშა დაიღუპა. გეოგრაფიულმა მდებარეობამ არხის მშენებლობა უაღრესად გაართულა. სუეცის არხთან შედარებით, პანამის არხი მთაგორიან ადგილზე მდებარეობს. ამიტომ, მშენებლებს არხის ასაშენებლად ბევრი რთული საინჟინრო საკითხის გადაწყვეტა მოუხდათ. ფრანგებისაგან განსხვავებით, ამერიკელებმა არხს რაბები და დამბები დაამატეს, შექმნეს ხელოვნური გატუნის ტბა. არხის მშენებლობა, რომელიც ამერიკას 639 მილიონი დოლარი დაუჯდა, 1914 წელს დამთავრდა. პანამის არხის გავლით, ამერიკის კონტინენტი, პირველმა გემმა 1914 წლის 15 აგვისტოს გადაკვეთა. დროთა განმავლობაში, არხზე ამერიკის მფლობელობის გამო, პანამის მოსახლეობის უკმაყოფილება იზრდებოდა. პანამასა და ამერიკას შორის ურთიერთობა სულ უფრო მეტად იძაბებოდა. ბევრი პანამელი მიიჩნევდა, რომ არხის ზონა, კანონიერად, პანამას ეკუთვნოდა. ამერიკა, ცდილობდა რა პანამის მთავრობის დაშოშმინებას, არენდის საფასურის გაზრდას დათანხმდა.

მოთხოვნა ამერიკის მიმართ, რომ არხი პანამისთვის გადაეცათ, განსაკუთრებით, სუეცის 1956 წლის კრიზისის შემდეგ გაძლიერდა. პანამის მოსახლეობის უკმაყოფილებამ კულმინაციას 1964 წლის 9 იანვარს მიაღწია. მაშინ, საპროტესტო გამოსვლები არეულობაში გადაიზარდა, რომლის დროს, 20 პანამელი და 5 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. ამ ინციდენტის შემდეგ, პანამამ ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. 1977 წელს, ამერიკის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა პანამასთან ურთიერთობის დალაგება მოინდომა. შედგა შეხვედრები და მოლაპარაკებები. საბოლოოდ, 1977 წლის 7 სექტემბერს ორი ქვეყნის ლიდერებმა ახალ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვით, 1999 წლის ბოლომდე, პანამის არხზე კონტროლი ამერიკას ექნებოდა, შემდეგ კი, არხი სამუდამოდ გადავიდოდა პანამის მფლობელობაში. სამაგიეროდ, პანამა პასუხისგებლობას იღებდა, რომ არხი ნეიტრალური ზონა იქნებოდა და ვერც ერთი ქვეყანა სამხედრო მიზნებით ვერ გამოიყენებდა. 1999 წლის 31 დეკემბერს პანამის არხი პანამას გადაეცა...

დღეს კი, ახალი, უფრო დიდი ამერიკის მშენებელი პრეზიდენტი ტრამპი, პანამის მისაკუთრებისთვის სამხედრო ძალის გამოყენებასაც არ გამორიცხავს!

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

საქართველოს რესპუბლიკა



პაატა ნაცვლიშვილი

ფეისბუქი-2024, რჩეული პოსტები

10 აპრილი, 2024

ჰოდა, ლუდი და დაგვიანება

ჰოდა, საუთჰემპტონში ვართ. მე და ისა. ის მაცილებს. თუმცა რაღას მაცილებს – გემზე დაგვაგვიანდა. არის ხელების ქნევა აქედან და იქიდან. თურმე იქაც 10 აპრილია.

ჰოდა, რა უნდა ვქნათ. წამო, ლუდი დავლიოთო, – ის მეუბნება. იქვე ვსხდებით და თან გემს ვუყურებთ. თითქოს ჩვენ გვიქნევენ დაუგვიანებელი მგზავრები ხელს. ირგვლივ ძირითადად აუურული, ლითონის მაგიდებია. ჩვენი მყარია. თან ისეთი მყარი, დიღომში რომ ავეჯის მაღაზიაა, ალბათ ასევე დააწერდნენ – „myari magida“.

ჰოდა, ლუდი კი შევუკვეთეთ, მაგრამ იგვიანებს, არა და აღარ მოაქვთ. მგონი, ესენიც დაუგვიანებელ მგზავრებს უქნევენ ხელს. გემს მაინც დაეგვიანა. მაგრამ არა – გემი დროზე გავიდა, ლუდი კი იგვიანებს.

ჰოდა, ირგვლივ ყველა მაგიდა ცარიელია. სამაგიეროდ გემია სავსე. ყველა აქეთა ბორტს არის მომდგარი. ეტყობა, გემიც მყარია, თორემ აქამდე გადაბრუნდებოდა. თან ჯერ კიდევ ძალიან ახლოა, ძალიან. ეს-ესაა მოშორდა ნაპირს. დი კაპრიოს საყელოზე ერთი ღილი რომ გახსნილი აქვს, ისიც კი ჩანს. მართლა რომ გადაბრუნდეს, გემის ბოლო საკვამური ჩვენს მყარ მაგიდას მოსწვდება.

ჰოდა, კი მოსწვდება, მაგრამ ის ბოლო საკვამური სხვაგვარად ფიქრობს, – ჩვენი მყარი მაგიდა სულ არ აინტერესებს და წინა სამ საკვამურს ნელ-ნელა მისდევს. ლუდი კი იგვიანებს. იგვიანებს, იგვიანებს, იგვიანებს და ისე ძალიან იგვიანებს, რომ ამასობაში კიდეც მეღვიძება.



კაბო და როკა (პორტუგალია) – ევროპის უდასავლეთესი წერტილი

ჰოდა, დავრჩით ულუდოდ. მეც და ისიც.

27 აპრილი, 2024

გაფრთხილება

გთხოვთ, უკითხავად ნუ განათავსებთ თქვენს პოსტებს ჩემს კედელზე, მით უმეტეს პოლიტიკურსა და გაუმართავს.

მადლობთ.

9 მაისი, 2024

ევროპის დღე

ევროპის უდასავლეთესი წერტილი რამდენიმე წუთის წინ დავდე, მაგრამ ევროპის უსამხრეთესმა რა დააშავა?!

თუ ევროპის დღეა, ევროპის დღე იყოს!

17 მაისი, 2024

მამული, ენა, სარწმუნოება, ერთობა და უსასრულობა

ვაჰ, დავიბენი, ღმერთმანი!

ჰოდა, ვუყურებ დღეს შუადღისას ტელევიზორს და მეუფე შიო ათიოდე სიტყვაში, 15-ჯერ ახსენებს ხაზგასმულად „დაპირისპირებას“. ორიოდე წუთის შემდეგ კი იმავე არხზე გამოდის დეპუტატი თინა ბოკუჩავა და საზოგადოება ისეთი ერთიანია, როგორც არასდროსო! – ამბობს!

ეტყობა, აღდგომების უქმეებში რაღაც გამომრჩა და „ერთიანობა“ უკვე სხვა რამეს ნიშნავს! ან ვარდისფერი სათვალე გახდა მეტისმეტად ვარდისფერი, ან შავი სათვალე გახდა კუნაპეტი შავი!

ახალი ამბების იმავე გამოშვებაში – ჯაბა სამუშიას მძიმე სამუშაო დღე ჰქონდაო, – კალამბურულად გვითხრეს. კალამბურის სიყვარულს რა ვუთხრა, თორემ ისე უქმე დღეა. მერე გვაცნობეს, – 311 ლექტორი უერთდება სტუდენტების ბოიკოტსო. დაიბნევი, აბა რა იქნება! – არავინ გვითხრა, სულ რამდენი ლექტორია უნივერსიტეტში. უქმე დღეა და ალბათ იმიტომ. სამუშაო დღეს გვეტყვიან და დავადგენთ: ეს 311-ია ერთიანობა, თუ ეს 311 უშლის ერთიანობას ხელს. მერე რა, რომ „ერთიანობა“ ვერ გავიგეთ, იქნებ 311-იანობა მაინც გავიგოთ, რას ნიშნავს.

მაგრამ ეს სატელევიზიო დაბნევა არაფერია იმასთან შედარებით, რაც მე იმ ახალი ამბების შემდეგ ერთმა ესემესმა დამმართა:

ერთი ახალგაზრდა კაცია, აზრს მეკითხება ხოლმე ხანდახან. ზოგჯერ ითვალისწინებს კიდეც. ჰოდა, ესემესით მწერს – მთავრობის სასახლესთან აღმოვჩნდი ზღვა ხალხში, არადა შინ მეუღლე მელოდებოდაო. იმდენი ხალხი იყო, მეტროში ვერ ჩავედი და ხალხი რომ თავისუფლების მოედნისკენ მიდიოდა, მე საწინააღმდეგო მხარეს მივიკვლევდი გზასო. და ბოლოს შოკისმომგვრელი კითხვა: იქონიებს თუ არა ეს ამბავი ჩემი ოჯახის სიწმინდეზე გავლენასო! გასულ შემოდგომაზე მოიყვანა ცოლი.

მიდი და უპასუხე! რა გინდა, რომ უპასუხო?! მართლა დავიბენი. ბოლოს კი, – გააჩნია-მეთქი, გაუგებრად მივწერე.

მერე მაინც გადავწყვიტე, რომ დამემშვიდებინა, ნუგეში მეცა და, ლევან თაქთაქიშვილის გუშინდელი პოსტი წაიკითხე-მეთქი.

ლევანი რას წერს და: „17 მაისი დასვენების დღედ გამოაცხადეს! დალახვროს ეშმაკმა! ოჯახის სიწმინდის დღეაო! ყოველი დღე არ უნდა იყოს წმინდა? არ ჯობდა, რომ ყოველი დღე ოჯახის სიწმინდის ყოფილიყო და ერთი კი ბოზობისათვის?“

ჰოდა, ამ პოსტის წერა თავიდან თითქოს სერიოზულად დავიწყე, მაგრამ ბოლოს, მგონი, მაინც ფელეტონი გამომივიდა.

ჰო, მაგრამ ეს სათაური რაღას ნიშნავსო – იკითხავს ალბათ დაკვირვებული მკითხველი.

თავადაც არ ვიცი, რას ნიშნავს. არც ის ვიცი, რა იგულისხმება სათაურის „უსასრულობაში“.

ამასობაში ვინმემ შეიძლება აქ ფელეტონის უსასრულობა მოიაზროს, როცა ავტორი მკითხველს შეითანაავტორებს და ტექსტის სათაურის ასახსნელად ანუ ფინალური დასკვნისთვის შეიამხანაგებს.

2024 – 05 – 17, ოჯახური სიწმინდის უქმე დღე

საუბარია იმაზე, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს სათაურის ბოლო სიტყვაში – „უსასრულობა“. რა შეიძლება იგულისხმებოდეს და... ყველაფერი! აბსოლუტურად ყველაფერი. წინა სამი სიტყვის გარდა, რასაკვირველია.

ვთქვათ: მამული, ენა, სარწმუნოება და ფეხბურთი.

ან: მამული, ენა, სარწმუნოება და ევროვიზია.

ან კიდევ: მამული, ენა, სარწმუნოება და ტელევიზია.

ან თუნდაც: მამული, ენა, სარწმუნოება და ალტ-ინფო.

სხვაც შეიძლება: მამული, ენა, სარწმუნოება და რობოკოპები.

ვიღაცას შეიძლება საერთაშორისო ვარიანტი ერჩივნოს: მამული, ენა, სარწმუნოება და ოთხი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ან კიდევ უფრო საერთაშორისო: მამული, ენა, სარწმუნოება და გლობალური ომის პარტია.

ან მთლად ოქსიმორონი: მამული, ენა, სარწმუნოება და მოღალატე.

ან უფრო აქეთ, საშინაო: მამული, ენა, სარწმუნოება და პრეზიდენტი.

ერთიანობის მეორე მხარე, რა თქმა უნდა, დაიჩემებს: მამული, ენა, სარწმუნოება და პრემიერ-მინისტრი.

და კიდევ უფრო საშინაო: მამული, ენა, სარწმუნოება და 84.

თუ 84 ვინმეს ებევრება, მაშინ: მამული, ენა, სარწმუნოება და მეოთხე მოსმენა.

ჰო, ლევანს არ ეწყინოს: მამული, ენა, სარწმუნოება და ლევან თაქთაქიშვილი.

არც ბიძინას მინდა, რომ ეწყინოს: მამული, ენა, სარწმუნოება და ბიძინა ბარათაშვილი.

ფეხბურთზე და ბიძინა ბარათაშვილზე გამახსენდა – ბუდუს, ბუდუს რომ არ ეწყინოს, იყოს ესეც: მამული, ენა, სარწმუნოება და ბუდუ ზივზივაძე.

და, რა თქმა უნდა: მამული, ენა, სარწმუნოება და ილია ჭავჭავაძე.

ბუდუ, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, იმ ოთხი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, ევროვიზიის ძლევამოსილი ნემო, თინა ბოკუჩავა, მოსაყდრე შიო, ჯაბა სამუშია, ალტ-ინფოს ინფოები, ის 84 და სხვა მოლაპარაკე თავები მე აქაურ მეგობრებში არ მყავს და ამიტომ მხოლოდ **L**-სა და **B**-ს მოვნიშნავ.

მოკლედ, მონიშნულებო და მოუნიშვნელებო, ჩემო მეგობრებო და ნაკლებად მეგობრებო, აქ ბევრი ვარიანტია, ხოლო პოსტი კი საჯაროა. ახლა თქვენი სვლაა. თითოეულ მკითხველს შეუძლია ეს დაუსრულებელი ფელეტონი თავისი შეხედულებისამებრ დაასრულოს.

იმედი მაქვს, ილია ჭავჭავაძე ყველას შეგვინდობს. თქვენც და მეც.

P.S. თუ ოდესმე ამ ფელეტონს პრესაში დავბეჭდავ, შემოთავაზებული ფრაზებისგან საუკეთესოებს ამოვარჩევ და ბოლოში დავურთავ, როგორც ავტორისა და მკითხველთა თანამშრომლობის უნიკალურ ნიმუშს.

Natia Arabuli-Weger
მამული, ენა, სარწმუნეობა და ცხენი!

Laura Kutubidze
მამული, ენა, სარწმუნოება და ჯენზი!

Sandro Lominari
დიალოგის ფორმა მიეცი და ფანტასმაგორიული პიესაა!

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე
მამული, ენა, სარწმუნოება და აკაკი წერეთელი, როგორც რომ ბევრი ოჯახის სიწმინდის დამრღვევი და ამის გამო წმინდანად ვერ შერაცხული ქართული ეკლესიისაგან.

Lia Chelidze
მამული, ენა, სარწმუნეობა და სიყვარული...

Mariam Latibashvili
ენა, მამული, სარწმუნოება და არაავითარი მაშასადამე!

გაგრძელება იქნება

2024 წელს საქართველომ მოგზაურობიდან 4.42 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო!

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2024 წელს საქართველომ ტურიზმიდან 4.42 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 7.3%-ით მეტია.

„აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 3.9%-ით მეტია 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. კლების ტენდენციით ხასიათდება რუსეთიდან და უკრაინიდან მიღებული შემოსავლები – 2024 წელს რუსეთიდან საქართველოში მოგზაურობით მიღებული შემოსავალი 9.4%-ით, ხოლო უკრაინიდან – 18.9%-ით შემცირდა.

2024 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მაღალი პროცენტული ზრდა დაფიქსირდა ისრაელიდან – 41.6%, საუდის არაბეთიდან – 21.2%, აზერბაიჯანიდან – 18.1 %, ირანიდან – 17.9%“, – აღნიშნულია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

◎ დედაქალაქი

საკრებულოს რჩეულნი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ წარმატებული თბილისელი სპორტსმენების დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება, რომელიც თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ორგანიზებით გაიმართა, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ჩატარდა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, საღამოს თბილისის საკრებულოს წევრები, მერის მოადგილე **ანდრია ბასილაია,** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** საქართველოს სპორტის მინისტრი **შალვა გოგოლაძე**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **ლერი ხაბელოვი**, ასევე, საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, სპორტული უწყებების, ფედერაციების წარმომადგენლები და თბილისელი სპორტსმენები ესწრებოდნენ.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე სპორტსმენებს მიესალმა, მათ მიღწევებზე ისაუბრა და წლის საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცის ნომინაციაში გამარჯვებული საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი მამარდაშვილი** დაუსწრებლად დააჯილდოვა.

როგორც გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, თბილისი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით გამორჩეული ქალაქია, რაც ქართველ სპორტსმენთა წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა.

„მოხარული ვარ დავესწრო ღონისძიებას, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა და რომლის მიზანიც წარმატებული თბილისელი სპორტსმენების დაფასება, სპორტის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და იმ ადამიანების დაჯილდოებაა, რომლებმაც 2024 წელს საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყანა არაერთხელ ასახელეს. ჩვენი სპორტსმენები ნამდვილად წერენ ქვეყნის ისტორიას და ისინი არიან ადამიანები, რომელთა გვერდში დგომაც ჩვენთვის დიდი პატივია. 2024 წელი ქართული სპორტისთვის ისტორიული წელი იყო, რისთვისაც თითოეულ თქვენგანს მადლობას ვუხდი. დარწმუნებული ვარ, რომ 2025 წელი კიდევ უფრო მეტი წარმატების მომტანი იქნება“ – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

ღონისძიებაზე სულ 185 თბილისელი სპორტსმენი დაჯილდოვდა, რომლებიც სპორტულ ჟურნალისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდნენ. ჯილდოები საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის ქალთა ხუთ და ამპუტანტ ფეხბურთელთა ერთ გუნდს გადაეცა. გარდა ამისა, გამარჯვებულები ხუთ ნომინაციაში გამოვლინდნენ: წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენი, წლის საუკეთესო პარასპორტსმენი მამაკაცი, წლის საუკეთესო პარასპორტსმენი ქალი, წლის საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცი, წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი.

წარმატებულ თბილისელ სპორტსმენებს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორებს, ოლიმპიური/პარალიმპიური თამაშების პრიზიორებს და ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამარჯვებულ გუნდებს, თბილისის მერიის სახელით, ფულადი ჯილდოები და სიმბოლური პრიზები გადაეცათ. 2024 წელს სპორტული მიღწევებისთვის დაჯილდოებული სპორტსმენებისთვის გამოყოფილი ჯამური თანხა ერთ მილიონ ლარს შეადგენს. პროგრამა 2018 წლიდან ფუნქციონირებს, რომლის ფარგლებშიც უკვე 1 000-ზე მეტი სპორტსმენი დაჯილდოვდა.

◎ თაობა

ბრინჯაო კოსოვოდან

ამ დღეებში კოსოვოს დედაქალაქმა პრიშტინამ 18 წლამდე ასაკის ვაუ ხელბურთელთა საერთაშორისო ფედერაციის თასის ევროპის ზონის გათამაშებას უმასპინძლა 7 გუნდის მონაწილეობით (კოსოვო, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, კვიპროსი, ალბანეთი, მოლდოვა, საქართველო), სადაც შოთა თევზაძის გაწვრთნილმა ჭაბუკმა ჯვაროსნებმა ბრინჯაო მოიპოვეს.

ჩვენებურთაგან აღსანიშნავია შიოშვილის, კაპანაძისა და ხარებაშვილის შედეგიანი თამაში, ხოლო რაც შეეხება ტურნირის მატჩებს, გიჭებმა ასეთი შედეგებით დაასრულეს.

ჯგუფური რაუნდი: კვიპროსთან – 44:24, ალბანეთთან – 43:23, დიდ ბრიტანეთთან – 33:25.

ნახევარფინალი: ბულგარეთთან 33:39.

მე-3 ადგილისთვის: ისევ დიდ ბრიტანეთთან – 34:27.

◎ ოვალური ბურთი

მეტსაც მივაღწევთ!

გორჯდალოსანთა ინგლისელი თავკაცის რიჩარდ კოკერილის გაწვრთნილმა პირველმა ქართულმა ფრანჩაიზმა შავმა ლომმა შარშანდელი შედეგი გაიმეორა, ჩელენჯ თასზე ოთხიდან ერთი შეხვედრა მოიგო და ბოლო ადგილი დაიკავა.

ბოლო მატჩი ჩვენმა გუნდმა შოტლანდიაში ქულათა მაქსიმუმით ტურნირის გამარჯვებულ ედინბურგთან უშანსოდ დათმო – 15:36 (3:24). სტუმრებმა ვითარება ბოლო 15 წუთში მას შემდეგ გამოასწორეს, რაც მორკინალებს მიძალებასა და მრისხანე მეტოქის ხაზის გაჭრაში აქტიურად დაუწყეს მიხმარება ფრთებმა, მაგრამ ამ დროს მოსახდენი უკვე მომხდარი იყო.

ლელო: ქვათაძე, აფციაური. **საჯარიმო და გარდასახვა:** მატკავა.

საბოლოო სატურნირო ცხრილი: ედინბურგი – 16, ბაიონი – 14, ჰლანეჰლი – 11, გლოსტერი – 9, ვანი – 8, შავი ლომი – 4 ქულა.

◎ გამოწვევა

1945 წ.
საშა
კვარაცხელია

იქნებ, კვარამ...

მართალია, ხვიჩა კვარაცხელია ფრანგული კარიერის სადებიუტო მატჩს რეიმსის წინააღმდეგ შინ დამდეგ უქმეებზე გამართავს, მაგრამ მანამდე მისი ახალი თანაკლუბელები ჩემპიონთა ლიგის ბოლოსწინა ტურში სიტის დღეს უმასპინძლებენ, ამიტომ ვფიქრობთ დაგაინტერესებთ შედარებით მცირე ბიოგრაფიის მქონე პარი სენ-ჟერმენის სადარბაზო ბარათი.

დედაქალაქის გუნდი 1970 წელს დაარსდა. ქვეყნის 12-გზის ჩემპიონი თასის 15-გზისა და სუპერთასის 9-გზის მფლობელია, ერთადერთი საერთაშორისო ტიტული კი 1996 წელს მოიხვეჭა, როცა ჩვენთვის ასე ტკბილად გასახსენებელი თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში მცველ **ბრუნო ნგოტის** ზუსტი შორეული საჯარიმოთი ვენის რაპიდი დაამარცხა – 1:0.

ამბიციური გრანდის ღირსებას სხვადასხვა წლებში ისეთი მეგავარსკვლავები იცავდნენ, როგორიც **რონალდინიო, ბუფონი, იბრაჰიმოვიჩი, რამოსი, კავანი, ნეიმარი და მესი** არიან, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მწვერვალი ჯერაც ვერ დაიპყრო. იქნებ კვარამ გატეხოს ნავსი?

არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება ის შესანიშნავი შვიდეული, რომელიც პარიზელებს წვრთნიდა: **ანრი მიშელი, ლუის ფერნანდესი, ჟერარ ულიე, უნაი ემერი, კარლო ანჩელოტი, მაურისიო პოჩეტინო, თომას ტუხელი.**

და ბოლოს: აქამდე ვიცოდით, რომ პარკ დე პრენსზე პირველი ქართული გოლი უძლიერესი დარტყმით 1971 წელს **მანუჩარ მაჩაიძემ** გაიტანა, რომელსაც ახლახან **ჟორუ მიქაუტაძემ** და **ზურიკო დავითაშვილმა** მიბაძეს, მაგრამ, როგორც უეფას მედია-ოფიცერი და ჩვენი ძვირფასი კოლეგა **მამუკა კვარაცხელია** ავრცელებს ინფორმაციას, 1945 წელს ბორდოსა და ტყვეთა ნაკრების მატჩში ბურთი წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს მკვიდრმა **საშა კვარაცხელიამ** გაიტანა, რომელიც 17 წლის მეათეკლასელი ფრონტზე გაპარულა, დაჭრილი ხარკოვთან მტრის კლანჭებში ჩავარდნილა და ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ჯოჯოხეთი გამოუვლია, თვით ბრძოლა კი ბორდოს მოუგია – 2:1.

◎ ლეგენდა

ოქროს ბურთის ერთადერთი შოტლანდიელი მფლობელი (1964 წ.), ეროვნული ნაკრების რეკორდსმენი (30 გოლი 55 მატჩში) დენის ლოუ 84 წლისა გარდაიცვალა და მარადისობაში შეუერთდა მანჩესტერის 1968 წლის პირველი ევროპული ტრიუმფის შემოქმედთა დიდ ტრიოს (ჯორჯ ბესტი, სერ ბობი ჩარლტონი), როგორც უკანასკნელი მოჰიკანი.

უკანასკნელი მოჰიკანი

რაც შეეხება საკლუბო კარიერას, წითელი ეშმაკების ბომბარდირთა სიაში იგი მესამეა **ჩარლტონისა** და **უეინ რუნის** შემდეგ (404 შეხვედრაში 237 ბურთი გაიტანა), აქედან საუკეთესო შედეგის ავტორია ერთ სეზონში – 46 გოლი, თანაც 14 ჰეთ-თრიქი და 4 პოკერი შეასრულა.

ხსოვნა

სიკეთის მაღლით შთაგონებული მოღვაწე

ღვთის მადლით რეზო ბალანჩივაძესთან ქუთაისის პირველმა სკოლამ შეგვახვედრა და დაგვამეგობრა (ასე იწოდებოდა მაშინ ყოფილი კლასიკური გიმნაზია). გვეგონა, აღარასდროს გაიყრებოდა ჩვენი გზები, ბოლო დრომდე არც გაყრილა. სამწუხაროდ, ამ ორმოციოდე დღის წინ ის ჩვენზე ადრე განერიდა წუთისოფელს, რომელმაც სიხარულთან და სიყვარულთან ერთად, ტკივილიც ბევრი განაცდევინა. იმითაც დარჩება რეზო ყოველი ჩვენ განისათვის დაუვიწყარ, უკეთილშობილეს პიროვნებად, რომ ამ ტკივილებითა და ბედის არაერთგზისი უკუღმართობით ის არასდროს გაბოროტებულა. პირიქით, რაც უფრო მეტი შეხვდა განსაცდელი, მით უფრო მეტად მოირგო და შემოიმტკიცა ხოლმე შხამშეუვალი ზნეობრიობის ჯავშანი. მთელი ცხოვრების განმავლობაში საპასუხიმგებლო საქმეებით თუ თანამდებობებით იყო დაკავებული, მაგრამ ერთხელაც არ დაუკვნესია ან ამოუოხრავს: კმარა, დავიღალეო. ბოლომდე ერთგული, რიგითი ჯარისკაცივით ემსახურა თავის პროფესიასა და საქვეყნოდ კეთილ საქმეს.

რეზო ბალანჩივაძე უკვე დიდი ხანია ცნობილია, როგორც წარმატებული და აღიარებული პიროვნება; ქართული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური სკოლების ერთგული მიმდევარი და ღირსეული წარმომადგენელი. არც ლიდერობა ასცდა ჟურნალისტურ, პუბლიცისტურ და საგამომცემლო საქმიანობაში. ვინ მოთვლის, სად არ მოსინჯა ძალები. და ყველგან მისი მოღვაწეობა გამსჭვალული იყო მოქალაქეობრივი აქტივიზმით. ამ მხრივ მას იშვიათად თუ დაუთმია შემართება და მეწინავეობა. გატაცებით და ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრთან, რასაც განსაკუთრებით უმადლოდნენ მისი მესვეურები, მეტადრე ხელმძღვანელი მეუფე დანიელი.

თავად რეზო არც ერთ სიკეთეს ზედმეტად არ მიიჩემებდა, თუმცა მეგობრებმა კარგად ვიცოდით, რაც ყველაზე მეტად ეძვირფასებოდა და ეამაყებოდა, ქუთაისლობა და მისი პირველსკოლელობა იყო. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: „ქუთაისის პირველსკოლელობა“. დაუფასდა კი სათანადოდ?

განსვენებული იმერეთისკენ გაუყენეს გზას. თუმცა ისიც გვინდა ვიწამოთ, რომ ვერც თბილისი და თბილისელები შეძლებენ მასთან დაშორებას, ამიტომ ზოგიერთი სხვა ცნობილი მოღვაწის მსგავსად, იმის მოლოდინშიც მოგვიწევს ყოფნა, რომ ოდესმე მისი ნეშტი ქართლის გულს დაუბრუნდება. სხვა თუ არაფერი, სახელოვანი სულიერი წინაპრის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია, რომელსაც რეზო ამაყად და დამსახურებულად ატარებდა, მოგვიწოდებს ამას შეფარვით.

მეორმოცე დღეა, რაც წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, უმწიკვლო რეპუტაციისა და იმერული ყაიდის ნატიფი პიროვნება, რომლის ნათელი სული შეუერთდა და შეერწყა მისი კეთილშობილი წინაპრების, აგრეთვე, მასზე უფრო ადრე წასული პირველსკოლელი მეგობრების, მასწავლებლების, ქუთაისის ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორებისა და აწგარდაცვლილი სხვა თანამოსაგრეების დალოცვილ სახელებს.

ნათელში ყოფილიყოს რეზო ბალანჩივაძის სპეტაკი სული და დაუვიწყარი მისი, როგორც ღირსეული მოღვაწისა და ნაღდი ქართველი პატრიოტის სახელი.

ზოთა ჩხეიძე,
ზურაბ თურმანიძე,
მინდია უგრეხელიძე.

რევაზ ბალანჩივაძეს დავიწყების საფრთხე არ ემუქრება

უზენაესმა მსაჯულმა ისე ინება, რომ 2024 წლის 16 დეკემბერს მოიწია უამი ჩვენი ღირსეული თანაქალაქელის რევაზ ბალანჩივაძის გარდაცვალებისა და ეს ბობოქარი ბუნების ადამიანი 86 წლის ასაკში უხმაუროდ განეშორა ამ ცოდვა-მადლიან წუთისოფელს.

რევაზ ბალანჩივაძე გახლდათ წყალტუბოსა და წყალტუბოელებზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, რომელიც ხშირად გვანებივრებდა მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებული, თემატურად მრავალფეროვანი პუბლიკაციებით და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან იგი წლების განმავლობაში რედაქტორობდა რესპუბლიკურ ახალგაზრდულ რესპუბლიკურ გაზეთს.

2018 წლის სექტემბერში, წყალტუბოს საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, ბატონმა რეზომ გამოაქვეყნა სამადლობელი წერილი, რომელიც ანალიტიკური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს: **„არაფრით არ მეგონა, რომ ჩემი ასაკის კაცს, რომელსაც ბევრი რამ უნახავს ამ ცხოვრებაში და, თუ გნებავთ, ბევრი ჯილდოც მიუღია, ასე თუ რამე გამახარებდა, მაგრამ მშობელი კუთხისაგან პატივგებას, როგორც ჩანს, მაინც სხვა ხიბლი და სითბო ახლავს“** („ახალი წყალტუბო“, 18 ოქტომბერი, 2018 წელი).

შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა რაიმე მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მოვლენა წყალტუბოში, რომელსაც რევაზ ბალანჩივაძე არ გამოხმაურებოდა. მართალია, 2019 წლის აგვისტოში გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ 80 წლის იუბილეზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა, მაგრამ ბატონი ივანე ჯაფარიძის ხელით გამოგვიგზავნა მისალოცი წერილი, რომელშიც ბეჭდური მედიის როლსა და მნიშვნელობაზე ჰქონდა ყურადღება გამახვილებული: **„კარგად მოგეხსენებათ, რომ გაზეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. იგი არა მარტო ასახავს, არამედ გარკვეულწილად წარმართავს რაიონის ცხოვრებას. კულტურა, განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის კი ის განძია, რომელმაც უნდა გადაარჩინოს ქვეყანა“.**

2020 წლის ივნისში ბატონმა რევაზმა ვრცელი წერილი მიუძღვნა ოტია იოსელიანის ცხოვრება-შემოქმედების ძირითად საკითხებს და აღმატებულ ხარისხში აიყვანა გამორჩეული ხელწერის პროზაიკოსი: „ოტია იოსელიანი ნამდვილი მოძღვართმოძღვარი იყო, ჩვენი დროის სოკრატე. მიუხედავად იმისა, რომ ხალხს ძალიან უყვარდა, მაინც არ იყო სათანადოდ შეფასებული და დაფასებული. დარწმუნებული ვარ, რაც ხანი გავა, მისი სიბრძნის ნათელი კვალი კიდევ უფრო საცნაური გახდება. დრო მის სასარგებლოდ მუშაობს“.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რევაზ ბალანჩივაძის საგაზეთო წერილი „თანამედროვე ქართული ფილოსოფიის პატრიარქი“, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის 135-ე წლისთავთან დაკავშირებით: „გავლენ ათეული და ასეული წლები, მაგრამ შალვა ნუცუბიძის სახელი უკვდავი დარჩება ქართველი მეცნიერების ისტორიაში, ისევე როგორც უკვდავი იქნება ის ერი, რომლის წიაღშიც ასეთი ადამიანები იბადებიან და იზრდებიან“.

ასეთივე მნიშვნელობისაა ბატონი რეზოს გამოხმაურება ივანე ჯაფარიძის წიგნზე „საქართველოს დედოზარი – ლევან გოთუა“. „კიდევ ერთი ახალი წიგნი შეიქმნა დიდ ქართველ მწერალზე – ლევან გოთუაზე, კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი მიიღო ქართველმა მკითხველმა“, – წერდა მეგობრის წარმატებით გულწრფელად გახარებული ავტორი.

რთულია, სულიერი მღელვარების გარეშე წაიკითხო ბატონი რეზოს „მიმართვა-თხოვნა ახალგაზრდებისადმი“, რომელიც სამშობლოსა და მომავალ თაობაზე ზრუნვით არის გაჯერებული: **„გავუფრთხილდეთ სამშობლოს, რადგან ისიც მშობელია ჩვენი. ღრმად შეისწავლეთ თქვენი ქვეყნის სამაგალითო ისტორია... გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას, რადგან ისიც დედაა ჩვენი... გავუფრთხილდეთ რწმენას, ეკლესიას, რადგან ისიც დედაა ჩვენი... მოვუფრთხილდეთ ადამიანურ ღირსებებს, სინდისს, ნამუსს, პატიოსნებას; დავუბრუნდეთ სოფელს, რადგან სოფელია ჩვენი მარჩენალი; გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ერთი ღვთის შვილები ვართ; ნუ გადავკეთდებით, ნუ ვაქცევთ მდედრს მამრად და მამრს მდედრად“**.

რევაზ ბალანჩივაძის, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მამულიშვილის, ღვაწლის უკეთ წარმოსაჩენად, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მისი ღია წერილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისადმი, მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის გახსნის თაობაზე („ახალი წყალტუბო“, 18 იანვარი, 2024 წელი). ავტორი არგუმენტირებულად ასაბუთებდა საკუთარი იდეის მიზანშეწონილობას, მშობლიური რაიონის წინაშე განსაკუთრებულად დამსახურებული ადამიანების გვარ-სახელების მითითებით. „დარწმუნებული ვარ, დღეს თუ არა ხვალ, ასეთი „რაიონული პანთეონი“ მაინც გაიხსნება. მე არ მინდა, რომ წყალტუბო მეათე ან მეთხუთმეტე იყოს. მე მინდა, რომ წყალტუბომ დაიწყოს ეს კეთილშობილური საქმე“ – წერდა ბატონი რეზო.

სიმბულურია, რომ ბატონი რევაზი მძიმე მარხვაში გარდაიცვალა, ბარბარობის წინა დღეს, ხოლო ოღასკურის სასაფლაოს ნაკურთხ მიწას 19 დეკემბერს, ნიკოლოზობას მივაბარეთ, მშობლების გვერდით. ღრმა სინანულის გამომხატველი გახლდათ ალალ ცრემლთან შეზავებული გამოსამშვიდობებელი სიტყვები, მაგრამ განსაკუთრებულად ამაღელვებელი იყო თეიმურაზ შაშიაშვილის, გიგლა გობეჩიას, ოთარ ჭუმბურიძის და ოჯახის ნათესავების მოგონებები, ჭიქა ღვინის თანხლებით, სატრაპეზო სუფრაზე.

რევაზ ბალანჩივაძე იყო არა მხოლოდ მართლმორწმუნე ქრისტიანი, არამედ ღვთისნიერი კაცი. დარწმუნებული ვარ, 2025 წლის 24 იანვარს, როცა იგი წარსდგება უფლის სამსაჯროზე, დაუზრკოლებლად გაივლის ყველა საზვერეს და დაიმკვიდრებს ადგილს ცათა სასუფეველში იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

თეიმურაზ ჯანელიძე,
წყალტუბო

აზერბაიჯანში „მაიმუნის ყვავილით“ ინფიცირების პირველი შემთხვევა დადასტურდა

აზერბაიჯანის ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, აზერბაიჯანის 22 წლის მოქალაქე მიმდინარე წლის 2-დან 11 იანვრამდე საზღვარგარეთ ტურისტულ მოგზაურობაში იმყოფებოდა. დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში ის ბაქოს კლინიკაში სისუსტის, სიცხის, სასქესო ორგანოს ბუშტუკოვანი გამონაყარის, გადიდებული ლიმფური კვანძების და კუნთების ტკივილის ჩივილით მივიდა.

„ეხო კავკაზას“ ცნობით, პაციენტი ჰოსპიტალიზებულია და სტაციონარულ მკურნალობას გადის. ოჯახის წევრებს, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ პაციენტთან, არ აღენიშნებათ დაავადების ნიშნები. ისინი ტერიტორიული ამბულატორიული სამედიცინო სამსახურისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანიზებით დაკვირვების ქვეშ იმყოფებიან.

„მათ ჩაუტარდათ პროფილაქტიკური მკურნალობა და გადაეცათ საჭირო მედიკამენტები.

ავიაკატასტროფას ბრაზილიაში მხოლოდ 12 წლის გოგო და პილოტი გადაურჩნენ

ბრაზილიაში, მაშველებმა, 12 წლის გოგონა, რომელიც ავიაკატასტროფას გადაურჩა, ტყეში იპოვეს და გამოიყვანეს. ინფორმაციას dailymail-ი ავრცელებს.

მედიის ცნობით, ვერტმფრენი უამინდობის გამო ჩამოვარდა. ვერტმფრენში სულ 4 ადამიანი, 12 წლის გოგო, მისი მშობლები და პილოტი იმყოფებოდნენ. ავიაკატასტროფას გოგოს მშობლები ემსხვერპლნენ, პილოტი და მოზარდი კი გადარჩნენ.

მაშველებმა გადარჩენილები ავიაკატასტროფის მეორე დღეს ტყეში იპოვეს. ისინი სან-პაოლოს საავადმყოფოში იმყოფებიან.

ესეც სიტყვის თავისუფლებაა!

მზია ამაღლობელი: „არ ვაპირებ, მივიღო რეჟიმის დღის წესრიგი. ვუიმშილობ. სიცოცხლეზე ღირებული თავისუფლებაა.“

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელის, ნონა ქურდოვანიძის ინფორმაციით, მზია ამაღლობელი საკვებს არ იღებს, – მხოლოდ წყალს.

მზია ამაღლობელმა „ბათუმელებს“ გამოუგზავნა წერილი, სადაც წერია:

„ფაქტი, რის გამოც დღეს ბრალდებული ვარ, შედგება იმ რეპრესიული, მოღალატეობრივი, ძალადობრივი, ადამიანის, სიტყვის და გამოხატვის წინააღმდეგ მიმართული პროცესების, რომელიც ბოლო ერთი წელია ვითარდება და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფეხს იკიდებს როგორც დიქტატურა. არ ვაპირებ მივიღო რეჟიმის დღის წესრიგი. ვუიმშილობ. სიცოცხლეზე ღირებული თავისუფლებაა.

ჩემს მოცემულობაში ნებისმიერი ის მოქალაქე შეიძლება აღმოჩნდეს, ვისაც დემოკრატიულ, სამართლიან, ევროპულ, რუსული გავლენებისგან თავისუფალ საქართველოში უნდა ცხოვრება. იბრძოლეთ, სანამ გვიანი არ არის.

იბრძოლეთ ყველგან, სადაც არ უნდა იყოთ, ქვეყანაში თუ ქვეყნის გარეთ, სოფელსა თუ ქალაქში, ქუჩებსა თუ აუდიტორიებში, საზოგადოებრივ და სამუშაო სივრცეებში. იყავით მამაცები, გაუფრთხილდით და გააძლიერეთ ერთმანეთი. არ დაუშვათ საქართველოს იზოლირება ცივილიზებული სამყაროსგან“...

● რედაქციისაგან:

ერთობ მოსაწონია მზია ამაღლობელის გაბედულება და „სიცოცხლეზე ღირებული თავისუფლებისთვის“ ბრძოლის უნარი, მაგრამ ამ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების თამამმა (ზედმეტად თამამმა!) ავტორმა ალბათ, ქვეცნობიერში, ისიც კარგად იცის, რომ საქართველოში არავითარი დიქტატურა, ძალადობა, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და რეპრესიები არ არის და „ბათუმელებისადმი“ გაგზავნილი წერილი მხოლოდ ცარიელი მუქარა და ანტიჟურნალისტური ბულინგია პატიოსანი ოპონენტების დასათრგუნად!

არ გინდათ ეს უნიჭო, მოჩვენებითი სპექტაკლი, ძვირფასო მზია ამაღლობელო!, გირჩევთ – შიმშილობასაც თავი დაანებოთ, რადგან თქვენს ასაკში ორგანიზმის ზედმეტად გამოფიტვამ „რეაქტიული ფსიქოზის“ შეტევები იცის და... ამასაც „რეჟიმისადმი“ ახალი შემოლაწუნების საბაბად გამოიყენებთ...

ჯანმრთელობას და დღევანდელი სინამდვილის გონების თვალით განჭვრეტა-შეფასებას გისურვებთ, ძვირფასო მზია, თქვენი ჟურნალისტური „მოცემულობა“ ამას გავალდებულებთ...

„ს. რ.“

ჯებირმტვრევთ საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ

პარლამენტის წინ რკინის ჯებირის დაზიანების ბრალდებით დაკავებულებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ.

შესაბამისი გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლომ 20 იანვარს გამოაცხადა.საბა მეფარიშვილი და ომარ ოკრიბელაშვილი სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით დააკავეს. მათ დანაშაული აღიარეს.

1882 წლის 20 იანვარს ქართული თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა დავით ერისთავის დრამა „სამშობლო“, სპექტაკლს დაესწრო ილია ჭავჭავაძეც.

ქართული სულის გამოღვიძება

ინფორმაციას თბილისის მუზეუმების გაერთიანება აქვეყნებს.

„სპექტაკლის დროს სცენაზე გამოიტანეს ქართული დროშა, რასაც ფეხზე ადგომითა და ოვაციებით შეხვდა დამსწრე საზოგადოება და წარმოდგენა ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

პრემიერიდან რამდენიმე დღის შემდეგ ცარისტული პრესის წარმომადგენელმა მ. კატკოვმა თავის გაზეთში „Московские ведомости“ (1882 წ., 13 თებერვალი, N 44) გამოაქვეყნა კორესპონდენცია, რომელშიც მასხრად იყო აგდებული ქართული დროშა, ფეხქვეშ იყო გათელილი ქართველი ერის თავმოყვარეობა და ისტორიული წარსული – უმჯობესია, თქვენი დროშა ცირკს მიჰყიდოთ, ვიდრე სცენაზე აფრიალოთ წარსულის მოსაგონებლადო.

ქართველი ხალხის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, მათი ეროვნული ღირსების დაცვა ილია ჭავჭავაძეს იკისრა – ამ ამაზრზენი კორესპონდენციის საპასუხოდ მან დაწერა ცნობილი წერილი „კატკოვის პასუხად“, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა მეფის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმი და ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული გარგაროსული პოლიტიკა:

„გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა ჰსცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედა-მიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია – იმისი ეგრედ უკადრისად ხსენებას არ ვიცით რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრედ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ თვით ბარბაროზიც კი არ იკადრებდა ეგრედ გაუპატიურებას მთელის ერისას!“ (გაზეთი „დროება“, 1882 წ., 24 თებერვალი, **N 40**).

იტალიელი მონაზონი — ვატიკანის გუბერნატორი

ისტორიაში პირველად, ვატიკანის გუბერნატორი ქალი გახდება, – ინფორმაციას **Reuters**-ი ავრცელებს.

რომის პაპი ფრანცისკე, მონაზონ რაფაელა პეტრინის ვატიკანის გუბერნატორად დანიშნავს. პეტრინის თანამდებობაზე დანიშვნა მიმდინარე წლის მარტში იგეგმება.

გუბერნატორი მთავრობის მეთაურია, რომელიც სახელმწიფოს პაპის სახელით მართავს. ქალაქ-სახელმწიფოს დაარსებიდან, ანუ 96 წლის მანძილზე, თანამდებობა მამაკაცებს ეკავათ.

ფრანცისკემ თქვა, რომ ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ არ უნდა დაიკავოს ქალმა უმაღლესი თანამდებობა, გარდა იმ თანამდებობისა, რომელიც დოქტრინული მიზეზების გამო მხოლოდ ხელდასხმული მღვდლებისათვის არის ღია

აღმოაჩინეს გიგანტური მწერი, რომელიც ერთ კილოგრამს იწონის



სინგაპურელმა მკვლევრებმა ახალი სახეობა, გიგანტური იზოპოდი აღმოაჩინეს. ამ არსებას (**Bathynomus vaderi**) **Star Wars**-ის პერსონაჟის, დართ ვეიდერის სახელი უწოდეს.

გიგანტური მწერი იზოპოდების გვარის წარმომადგენელია. ის წყალში ცხოვრობს, მაგრამ ვიზუალურად ხმელეთის მწერს მოგვაგონებს.

იზოპოდის სიგრძე 32.5 სანტიმეტრია და ერთ კილოგრამს იწონის. თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ეს არსება მარტივი შესამჩნევია, მაგრამ ჯერჯერობით ის მხოლოდ ვიეტნამის სპრატლის კუნძულებზეა დაფიქსირებული.

შთამბეჭდავი ზომის გარდა, ყურადღება მიიქცია არსების კუთხოვანმა თავმა, რომელიც ვარსკვლავური ომების ბოროტი ლორდის ჩაფხუტს წააგავს — აქედან მომდინარეობს მისი სახელიც.

საქართველოს
www.sak.ge • ტელ. 599(00): sak@sak.ge
რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებლები
გიორგი მახარაშვილი,
არჩილ სიხარულიძე.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 24 იანვარს